

ბიულეტენი

№ 68
2002
მაისი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



ISSN 1512-0813

კომერციული ბანკების შემოსავლები
და მათი ფორმირების სპეციფიკა

საქართველოს საგადასდელო ბალანსი
(მდგომარეობა, დინამიკა, პერსპექტივა)

FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG

C 03 - 00401

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**


ქახაბერი ჯაყელი
გიგა გველესიანი

**კომერციული ბანკების შემოსავლები
და მათი ფორმირების სავსიფიკა** ----- 3

როინ სანაროვი
დავით ნარმანია
აპაკი ცოტაძე

**საქართველოს საგადასდელმო ბალანსი
(მდგომარეობა, დინამიკა, პერსპექტივები)** ----- 33





დასავლეთის კომერციულ ბანკებთან შედარებით, რომელთა საქმიანობის არეალი და შესრულებული საქმიანობის მოცულობა ძლიერ დიდია, ქართული კომერციული ბანკები დამატებით სიძნელეებს (ანუ რისკებს) აწყდებიან ქვეყანაში წარმოების არნახული დაცემის, მძიმე სოციალური ფონის, პოლიტიკური არასტაბილურობის და სხვა ფაქტორების გამო.

საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა კარგად ჩანს ცხრილში №1. ჯერ კიდევ 1998 წელს კომერციული ბანკებისათვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის პარამეტრი 12-დან 16%-მდე გაიზარდა, რაც იმ დროს განვითარებული მოვლენების ფონზე (რუსეთის კრიზისი, ლარის დეევალაცია) პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს. ეს განაკვეთი არსებობდა ორი წელი. 2000 წელს მისი შემცირება მოხდა 2%-ით. მისმა ხელახალმა გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებისა და ინვესტიციების შემცირება, რაც საკმაოდ უარყოფითი მოვლენა იქნება დღევანდელ ისედაც რთულ სიტუაციაში.

1995-2001 წლებში კომერციული ბანკების რიცხვის შემცირებასთან ერთად მონეტარული აგრესიების მაჩვენებლებიც იზრდებოდა. 1995 წელთან შედარებით, 2001 წელს ფართო ფული (M3) ერთ ბანკზე 25,3 მლნ-ით, სარეზერვო ფული (M1) ერთ ბანკზე 14,4 მლნ-ით, ნაღდი ფული მიმოქცევაში (M0) ერთ ბანკზე 12,2 მლნ. ლარით გაიზარდა. ფაქტიურად მოხდა მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა და დეპოზიტების მატება - როგორც ერთ-ერთ უცხოურ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მკვეთრი ზრდა ფაქტიურად საბანკო სისტემისადმი ნდობის ზრდაზე მიუთითებს, თუმცა რა თქმა უნდა დოლაროზაციის მაჩვენებელი საკმაოდ არასახარბიელოა (იხ. დიაგრამა №1, 2).

რაც შეეხება წმინდა საბანკო აქტივების მაჩვენებელს, ერთ ბანკზე იგი 1995 წელთან შედარებით 2001 წელს 30,4 მლნ-ით, განაღებულ საწესდებო კაპიტალი ერთ ბანკზე 7,2 მლნ-ით და საკუთარი კაპიტალი ერთ ბანკზე 9,7 მლნ-ით გაიზარდა. ამ მაჩვენებლის მატება საკმაოდ კარგია ვინაიდან იგი გულისხმობს, რომ კომერციულმა ბანკებმა გააუმჯობესეს აქტივების ხარისხი, დახვეწეს რისკებისა და დანაკარგების შეფასების კრიტერიუმები.

2001 წელს ერთ ბანკზე საკრედიტო დაბანდება 1995 წელთან შედარებით 16,6 მლნ-ით, ხოლო წინა წელთან შედარებით 3,8 მლნ. ლარით გაიზარდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის ხარისხის ზრდა განპირობებულია საკრედიტო პორტფელის მარ-

თვის ტექნოლოგიების გაუმჯობესებით. 2001 წლის მდგომარეობით ქართულ კომერციულ ბანკებს 77,608 მლნ. აშშ დოლარის, 7 მლნ. ევროს, 13,541 მლნ. გერმანული მარკის ოდენობის უცხოური საკრედიტო ხაზები ჰქონდათ გახსნილი.

რაც შეეხება მიმდინარე მოგებას, თუ ეს მაჩვენებელი ერთ ბანკზე 1995, 1996, 1997 და 2000 წლებში უარყოფითი იყო 2001 წელს მან 0,5 მლნ. ლარი შეადგინა.

განსაკუთრებით გამოირჩევა დეპოზიტების სტრუქტურის ცვლილების ტენდენცია (იხ. დიაგრამა №3, 4). 1995 წელთან შედარებით ვადანი დეპოზიტები 33,6%-ით, 2000 წელთან შედარებით კი 5,8%-ით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში შესაბამისად 44,6%-ით და 7,8%-ით გაიზარდა. საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებთან დაკავშირებით. მარტო წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 7,8%-ით შემცირდა. 2001 წლის განმავლობაში საქართველოს კომერციულ ბანკებში დეპოზიტების მოცულობები საგრძობლად გაიზარდა. თუ წლის დასაწყისში სადეპოზიტო ვალდებულებების მთლიანი მოცულობა 296383 ათას ლარს შეადგენდა, წლის ბოლოსათვის მან 383595 ათას ლარს მიაღწია, ანუ 29,4%-ით გაიზარდა. ამ საანალიზო პერიოდში შედარებით მაღალი ტემპით გაიზარდა მიმდინარე ანგარიშების მოცულობები. 168355 ათასი ლარიდან 229998 ათას ლარამდე, ანუ 36,6%-ით, ხოლო იურიდიული პირების ვადანი დეპოზიტები - 28390 ათასი ლარიდან 37530 ათას ლარამდე, ანუ 32,2%-ით გაიზარდა.

შედარებით დაბალი ტემპით იზრდებოდა ფიზიკური პირების ანაბრების მოცულობა. იგი 99638 ათასი ლარიდან 116067 ათას ლარამდე, ანუ 16,5%-ით გაიზარდა. ძირითადი ზრდა უცხოურ ვალუტაში ანაბრებზე მოდის. კერძოდ, აღნიშნული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 36%-ით, ანუ 24168 ათასი ლარიდან 32866 ათას ლარამდე გაიზარდა. იგივე პერიოდში ძალიან უმნიშვნელო იყო ლარებში დეპოზიტების მოცულობის ზრდა - 54765 ათასი ლარიდან 54989 ათას ლარამდე.

2001 წლის განმავლობაში საქართველოს ათი უმსხვილესი კომერციული ბანკის წილი ქვეყნის საბანკო სისტემის მთლიან აქტივებში 82,8%-მდე გაიზარდა.

ეროვნული ბანკის გამოკვლევები ცხადყოფს, რომ წმინდა აქტივებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით ბანკების ათეულს საქართველოს ბანკი ლიდერობს, ხოლო რაც შეეხება მთლიან ვალდებულებებს აქ პირველი ადგილი თიბონი ბანკს

უკავია.
საქართველოს საბანკო სისტემაში აქტივების ხვედრითი წილის მიხედვით ლიდერობენ შემდეგი ბანკები:

საქართველოს ბანკი	15,6%
თიბისი ბანკი	13,5%
ბანკი	13,1%
საქართველოს სახელმწიფო ბანკი	10,7%
საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ბანკი	8,3%
ბანკი ქართუ	6,0%
საქართველოს მსოფლიო ბანკი	5,7%
ინტელექტუალური	5,4%
საქართველოს ბანკი	2,5%

ქართული კომერციული ბანკებისათვის გახსნილი საკრედიტო ხაზების მეშვეობით გაცემული სესხებიდან ყველაზე ნაკლები წილი, სამწუხაროდ, მოდის მრეწველობაზე (776 000 ლარი). ყველაზე მეტი სესხის გაცემული მომსახურებისა და სხვადასხვა დანიშნულებისათვის, კერძოდ 42 932 000 ლარი. ასეთი სესხები შედარებით ნაკლები სარგებლის საპროცენტო განაკვეთით ხასიათდება (იხ. დიაგრამა №5).

გასული წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელი 428 479 000 ლარით განისაზღვრა. ანალოგიური მაჩვენებელი ზუსტად ერთი წლით ადრე ამ პერიოდამდე შეადგენდა 433 373 000 ლარს. კომერციული ბანკების მიერ მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებზე ვადაგადაცემა 2001 წლის I დეკემბრისათვის საკრედიტო პორტფელის 8,57% იყო. იგივე მაჩვენებელი იუსტიციის ერთი წლის წინ აღნიშნულ პერიოდამდე იუსსაკრედიტო პორტფელის 7,31%.

2001 წლის I დეკემბრისათვის საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დავალინება დარგობრივი ჭრილის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

საბანკო მოგების წილი	24588000	არასესხი	49678000
საბანკო მოგების წილი	230920000	სესხები	85,5%
საბანკო მოგების წილი	7100000	სესხები	230920000
საბანკო მოგების წილი	25917000	სესხები	125917000
საბანკო მოგების წილი	1328000	სესხები	98168000

როგორც ვხედავთ სახელმწიფო სექტორზე გაცემული სესხების უმეტესი ნაწილი მრეწველობაზე მოდის, ხოლო არასახელმწიფო სექტორში კი ინდივიდუალურ პირებზე. მათზე არასახელმწიფო სექტორის მიერ მიღებული სესხების დაახლოებით 50% მოდის.

საქართველოს საბანკო სისტემის წმინდა მოგება 2001 წელს 13,3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 9,9 მლნ. ლარით აღემატება. წმინდა მოგების ზრდა ძირითადად დამო-

კიდებულია პროცენტული შემოსავლების მატებაზე, რომლის მოცულობაც გასულ წელს 45,3%-ით გაიზარდა. საპროცენტო შემოსავლების ზრდას ხელი შეუწყო საბანკო სისტემაში საკრედიტო პორტფელის მოცულობის 53%-ით ზრდამ, რაც საბანკო სისტემისათვის ძირითადი საპროცენტო შემოსავლების მომხარვესი აქტივია.

კომერციული ბანკის საერთო შემოსავალი ფორმირდება მრავალი წყაროდან: შემოსავლების ძირითადი წყაროებია:

- შემოსავალი სააღრიცხვო-სასესხო ოპერაციებიდან (სარგებელი);
- პროცენტები და დივიდენდები ფასიანი ქაღალდების ინვესტიციებიდან;
- საკომისიო შემოსავლები მინდობილობითი;
- მოგება საბირჟო გარიგებებიდან;
- შემოსავალი უცხოური ოპერაციებიდან (უცხოური კრედიტები, სავალუტო გარიგებები და ა.შ.);

საკომისიო გასამრჯელო სანგარიშსწორებო, გზავნილებისა და სხვა ოპერაციებიდან თუ ბანკის საერთო შემოსავლიდან გამოკვეთთ ხარვეზს:

- საბანკო ოპერაციების გნსახორციელებლად;
 - ხელფასების გასაცემად;
 - სარგებელი მეანბარებებს;
 - ბანკის სამუდარეო და სხვ ხარჯები;
- მივიღებთ კომერციული ბანკის წმინდა შემოსავალს. ხოლო თუ ამ წმინდა შემოსავალს გამოკვეთთ:

- ა) აქციონერების დივიდენდებს;
 - ბ) ანარიცხვებს სარეზერვო კაპიტალში;
- მივიღებთ ბანკის წმინდა მოგებას. საბანკო მოგების ნორმა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{საბანკო მოგების წილი}}{\text{ბანკის წმინდა მოგება}} \times 100\%$$

საბანკო მოგების ნორმა შეიძლება ჩაითვალოს კომერციული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად.

2001 წელი საქართველოს საბანკო სექტორმა მოგებით დაასრულა. მართალია ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებზე ბანკებმა 39,3 მლნ. ლარის ზარალი ნახეს, მაგრამ მისი კომპენსირება მოხდა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგების ხარჯზე, რომელმაც 52,2 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, საბანკო სისტემის მოგებამ მთლიანობაში 13,3 მლნ. ლარი შეადგინა.

წმინდა მოგების მოცულობის მიხედვით კომერციულ ბანკთა სიას ს/ს კომერციული ბანკი

„საქართველოს ბანკი“ ლიდერობს. ამ ბანკის წმინდა მოგებამ შეადგინა 11 299 000 ლარი. მეორე ადგილზეა ს/ს „საქართველოს საზღვრო ბანკი“ - 6 632 000 ლარი, ხოლო მესამეზე ს/ს „თიბისი ბანკი“ - 4 493 000 ლარი.

ქართული კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციები სულ უფრო დახვეწილ ხასიათს იღებს. აღსანიშნავია, რომ თუ სანქს ეტაპზე საბანკო სისტემის ფორმირებისას საბანკო სფერო საქართველოში საკმაოდ ქოტურად ვითარდებოდა და ბანკების რაოდენობაც საკმაოდ ძლიერ სცდებოდა ქართულ რეალობას, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა რიგი დადებითი ტენდენციებისა. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავდა საბანკო სექტორის საიმპულსის ხარისხის გაუმჯობესებას და შედარებით სტაბილური მდგომარეობის დამკვიდრებას გამოიღო გარკვეული შედეგები.

კომერციული ბანკების რიცხვი 90-იანი წლების განმავლობაში მცირდებოდა, რასაც, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ეროვნული ბანკი, მოთხოვნების ეტაპობრივი გაზრდით. გერდა ამისა ზოგადად კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობის მექანიზმებიც იხვეწებოდა. ამ ღონისძიებების შედეგად საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობა - შემოსავლების კუთხით, საგრძობლად გაუმჯობესდა.

საქართველოში კომერციული ბანკების მიერ განხორციელებულ საქმიანობას გარკვეული ხინდობები ახლავს ქვეყანაში არსებულ რთულ ეკონომიკურ პირობებში რა თქმა უნდა კომერციული ბანკებსაც უნდა ეხებოდათ სრულფასოვანი ფუნქციონირება და მაქსიმალური შემოსავლების დასაცემად საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენება.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში საკმაოდ მკიპე ვითარებაა მრეწველობაში და საკმაოდ განმელებულია საკრედიტო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის შენარჩუნებით წარმართვა (კინაოდან სათანადო რაოდენობით მოთხოვნა კრედიტებზე არ არის ქვეყანაში). ამიტომ კომერციული ბანკების მიერ საკრედიტული ოპერაციები ხშირად ვაჭრობის სფეროზე მოდის. ქართული კომერციული ბანკების საკმაოდ კარგ შემოსავალს იღებენ ფულადი გზავნილების განხორციელების მეშვეობით. ეს გამოწვეულია მოსახლეობის დიდი ნაწილის საზღვარგარეთ მუშაობასთან ოჯახების შესანახად. აგრეთვე მკიპე პოსტალური ფონის გამო სალომბარდო კრედიტები და მოსახლეობაზე გაცემული ამ სახის კრედიტები საკმაოდ გავრცელებულია დღევანდელ საქართველოში.

სამწუხაროდ საქართველოში საკმაოდ ნელა იკიდებს ფეხს სამომხმარებლო კრედიტებით სარგებლობა რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობდა ბანკების შემოსავლების ზრდას.

აგრეთვე მკიპე ვერჯერობით კომერციული ბანკების მიერ გრძელდებოდა იუსსახელმწიფო ინტეგრის რაც ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობითაა გამოწვეული.

უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ბანკებში განთავსებულ დეპოზიტთა მოცულობა, რამაც ბანკებს მეტი რესურსების განკარგვის საშუალება მისცა. დეპოზიტების ზრდა პოზიტიური მომენტია, ვინაიდან იგი საბანკო სექტორისადმი ნდობის ეტაპობრივ აღდგენაზე მიუთითებს, რაც კარგი პროგნოზების საფუძველს იძლევა. სამწუხაროდ, თავიანთ დიდი ანაზღაურებით დოლარიზაციის მაჩვენებელი, რომელიც კვლავ აგრძელებს ზრდას.

აგრეთვე საკმაოდ ეფექტურად სარგებლობენ ქართული კომერციული ბანკები უცხოური ბანკების განხორცილ საკრედიტო ხაზებით, რომელთა მეშვეობით სესხების გაცემა შესაძლებელი ხდება შედარებით ნაკლები სარგებლის დანახებით. ეს ფაქტორი ადგილობრივ მსესხებლებს საკმაოდ ძლიერ უწყობს ხელს თავიანთ საქმიანობაში.

კომერციული ბანკების ხელში არსებული რესურსების ზრდა იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა, რომ ახლო მომავალში დღეს არსებული კომერციული ბანკები კიდევ გაიმძლავრებენ თავიანთ პოზიციებს საბანკო მომსახურების ბაზარზე.

თუ გადავხედავთ უკანასკნელ მონაცემებს კომერციული ბანკების მოგება-ზარალის სტრუქტურისა და დინამიკის, რომ საპროცენტო შემოსავლები ორჯერ აღემატება არასაპროცენტო შემოსავლებს. საპროცენტო შემოსავლებში კი უმეტესი ნაწილი უჭირავს საპროცენტო შემოსავლებს სესხებიდან. განსაკუთრებით დიდი წილი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლებისა და ვაჭრობის სფეროზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლები. მათ მეტი წილი უჭირავს სესხებიდან მიღებულ შემოსავლებში. რაც შეეხება საპროცენტო ხარჯებს აქ ყველაზე დიდი წილი მოდის ვადიან დეპოზიტებზე გადახდილ თანხებზე.

დღესდღეობით თუ გადავხედავთ უკანასკნელი წლის მონაცემებს აშკარაა, რომ 2001 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ბანკების საქმიანობის მთავარი შედეგი, ანუ მათი მომგებიანობა. აღსანიშნავია, რომ უმეტესი ნაწილი ამ მოგებისა მოდის ნაშყვან თუ კომერციული ბანკებზე. ამ მხრივ, მოგების მოცულობის მიხედვით ლიდერობას კვლავ საქართველოს ბანკი ინარჩუნებს.

თუ მოხდება კომერციული ბანკების მენეჯმენტის სრულყოფა და დაინიშნება სხვადასხვა საბანკო რისკების მართვაში მათი გაუფრთხილებლობის მიზნით კომერციული ბანკების მოგება კიდევ უფრო გაიზარდება. აგრეთვე საკმაოდ აქტუალურია უახლესი მარკეტინგული ხერხების გამოყენება ბაზარზე პოზიციების გამყარებისათვის და მოსახლეობაში ნდობის განმტკიცებისათვის.

საბანკო რისკებთან სწორი მუშაობა უზრუნველყოფს ბანკის სტაბილურ მომგებიანობას და მისი შემოსავლების ზრდას. განვიხილოთ ზოგიერთი სახის რისკი, რომელსაც შეიძლება წაანდგეს ბანკი თავისი საქმიანობისას. წარმოშობისა და გავლენის სფეროების მიხედვით რისკები შეიძლება იყოს გარე და შიდა. გარე რისკებს განეკუთვნება რისკები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბანკის საქმიანობასთან. ეს რისკები ჩნდება სხვადასხვა პოლიტიკური ან ეკონომიკური მოვლენების გამოისობით. მაგალითად, ბანკმა შეიძლება განიცადოს ზარალი ნაციონალიზაციის დროს, ომის დაწყების შემთხვევაში ან რევოლუციის გამო, სტიქიური უბედურებების მოხდენისას, ეკონომიკური კრიზისის გამო, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო შეცვლის სავაჭრო პოლიტიკას და სხვ.

შიდა რისკები შეიძლება დაყვარდეს ზარალზე ბანკის ძირითადი და დამხმარე საქმიანობებისადმი პირველის მაგალითად შეიძლება დაეცასხეულით საკრედიტო რისკები, საპროცენტო რისკები, სავალუტო და სხვ. მეორის მაგალითად შეიძლება დაეცასხეულით დანაკარგები დეპოზიტების ფორმირებისას, რისკები სხვადასხვა გაჯალბებებთან დაკავშირებით და სხვ.

ერთი მხრივ, თუ ბანკს ეყოლება მსხვილი კლიენტი იგი შეიძლება უფრო ნაკლებად განიცდიდეს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებს, მაგრამ ერთი კლიენტისათვის დიდი მოცულობის კრედიტის გაცემა ბანკის რისკს საკმაოდ ზრდის. სწორედ ამიტომ, ბანკებს ჩვეულებრივ აქვთ შეზღუდვები დანესებული ერთ კლიენტზე განსაკუთრებით მოცულობაზე. საბანკო რისკი შეიძლება იყოს დიდი, საშუალო ან მცირე რისკის ვადების მიხედვით განანიილება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ძირითადი ბანკის ოპერაციები ექვემდებარებიან წარსულ და მიმდინარე რისკებს, ნაწილი კი მომავალს. მიმდინარე რისკებს ექვემდებარება ისეთი ოპერაციები მაგალითად, როგორცაა ოპერაციები დაკავშირებული გარანტიებებთან. ერთი და იგივე ოპერაციის შეიძლება შეიცავდეს, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ რისკს.

რეგულირების შესაძლებლობებისა და მეთოდების მიხედვით რისკები არსებობს ღია და დახურული. ღია რისკები არ ექვემდებარება რეგულირებას. დახურული რისკების რეგულირება შესაძლებელია მაგალითად კრედიტების კაღანალიზებით მეტი რაოდენობის უყროწვრილ კლიენტებზე, მსხვილი კრედიტების გაცემა სხვა ბანკების თანამონაწილეობის მეშვეობით, დეპოზიტების დაზღვევის მეშვეობით და სხვ.

კლიენტების სწორი შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია ბანკის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. ამ პროცესისადმი ნაკლებად კრიტიკული მიდგომა იწვევს ჩვეულებრივ ბანკის იკვილობის სერიოზულ შერყევას. მსგავს პრო-

ბლემებს შეიძლება შექონდეს ადგილი მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა კლიენტს აქვს რამდენიმე ანგარიში რამდენიმე ბანკში. ამ რისკის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია კლიენტების ფინანსური მდგომარეობის სწორი გაანალიზების საფუძველზე.

რისკის რაოდენობრივი მზარის შეფასებისას აუცილებელია სწორი შეფასება როგორც შესაძლებელი რისკისა, ასევე იმ შესაძლო მოგების რომლის მიღებაც შესაძლებელია. მენეჯერის მიერ გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

პირველი ეტაპია პრობლემის დასმა და მისი კვლევა, მისი მკვეთრად ჩამოყალიბება, ისეთ ფორმაში მოყვანა რომ იგი ექვემდებარებოდეს გაანალიზებას. ამისათვის საჭიროა პრობლემის გასაგებება უნაზღვროდ აღიარება, ისე რომ მოხდეს ამ პრობლემის სრულად ახსნა. ეს შეიძლება მაგალითად გავყოფდეს არსებული (ფაქტობრივი) მდგომარეობის და სასურველის აღწერა და შედარება. ამ შემთხვევაში სწორედ ეს განსხვავება წარმოადგენს პრობლემას არსს.

მეორე ეტაპად შეიძლება პირობითად ჩატვალდეს იმ გარკვეული ფარგლებებისა და ზღვრების დადგენა, რომლებშიც იქნება მოქცეული გადაწყვეტილების მიღება. ალტერნატივების განხილვის წინ აუცილებელია შესაძლებლობის დადგენა, ვისათვის ისინი საკმარის ამტარებენ ალტერნატივების რაოდენობას. გარკვეული შეზღუდვების მაგალითად შეიძლება დაეცასხეულით შესაბამისი თანხების უქონლობა, მომუშაოება არასაკმარისი რაოდენობა, რომლებსაც გააწიოთ სათანადო კვალიფიკაცია, განსაკუთრებით მწვავე კონკურენციის დონე, გარკვეული ფიციკური მოსაზრებები და სხვ.

შემდგომი ეტაპია ალტერნატივების დადგენა. რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი ის სასურველია ყველა არსებულ ალტერნატიული ვარიანტის განხილვა, მაგრამ რეალურად ეს შეუძლებელია ამის მიზეზები მრავალია, თურუნდაც დროის ან შესაბამისი ცოდნის არქონა. სასურველია ალტერნატივთა მაქსიმალური რაოდენობის განხილვა.

მეოთხე ეტაპია ალტერნატივების შეფასება, კერზოდ ყველა ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, რისთვისაც დგინდება გარკვეული კრიტერიუმები. ამ დროს, როგორც წესი, ხდება არა მარტო ობიექტური კანონსომიერებების გათვალისწინება, არამედ ყურადღება ფასულობების გარკვეულ სუბიექტურ წარმოდგენებსაც ეთმობა.

მეხუთე ეტაპია ალტერნატივის ამორჩევა. თუ პრობლემა საკმაოდ კარგადაა წარმოქმნილი და ალტერნატიული ვარიანტების საფუძვლიანი ანალიზია ჩატარებული, მაშინ შესაძლებელი ხდება მაქსიმალურად სასურველი შედეგების უზრუნველყოფი გადანყვეტილებების ამორჩევა.

საბოლოო ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს მიღებული გადაწყვეტილების ხორცშესხმა და რეალიზაცია. მას შემდეგ, რაც დაინყვება მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაცია, საჭიროა, მის მიმდინარეობაზე მკაცრი კონტროლის დანესება.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი საფრთხე და რისკი კომერციული ბანკის საქმიანობის პროცესში არის სავალუტო რისკი. ისევე როგორც სხვა სახის რისკების შემთხვევაში სასურველია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მისი შესაძლებლობის შემაჯობება. უმთავრესი მომენტია სწორი ბალანსის შენარჩუნება, რომ საქმიანობას მინიმალური რისკი ახლდეს თან და იმავედროულად საქმიანი აქტიურობაც სათანადოდ დონეზე იყოს. რისკის დონე მატულობს რიგ შემთხვევებში: ა) პრობლემები ჩნდება უცვლად და მიულოდნელად; ბ) დასებული ახალი ამოცანები, რომლებსაც ბანკის არსებული გამოცდილება ვერ ნვდება (ეს განსაკუთრებით აქტიურობა დღე-განდღე საქართველოში, სადაც საბანკო სფეროს გამოცდილება ჯერ მცირეა); გ) ხელმძღვანელობას არ შესწავს უნარი, რომ გადაჭრას არსებული პრობლემები; დ) არსებული კანონმდებლობა ხელს უშლის ბანკისათვის ხელსაყრელი გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას.

სავალუტო რისკი - ეს არის რისკი დაკავშირებული შესაძლო ზარალთან უცხოური ვალუტის ყიდულ-გაყიდვისას. უცხოური ვალუტების კურსების ცვლილება დაკავშირებულია მრავალ ფაქტორზე. ეს მავალითად შეიძლება მოხდეს თანხების ერთი ქვეყნიდან მეორეში მუდმივი დენადობის გამო. ნებისმიერი ვალუტის საკვანძო მახასიათებელია მისდამი ნდობის დონე, როგორც რეზიდენტების, ასევე არარეზიდენტების მხრიდან. ეს თავის მხრივ დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (წოდების დონე ალნიშნული ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის მიმართ, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და გაცვლითი კურსის რეჟიმის თავისუფლების დონე, ქვეყნის სავაჭრო-საიმპორტო ბალანსი, ქვეყნის საბაზისო მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დონე, ინვესტირების პოზიციის ქვეყნის მიმართ და სხვ.).

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც შემოქმედებს სავალუტო რისკს არის ინფლაცია. ინფლაცია, რომ ექვემდებარება, სადაც უფრო მაღალი ინფლაციის ტემპია ადგილობრივი ვალუტის კურსის დაცემა შეტად ხდება, ვიდრე იქ სადაც ინფლაციის ტემპი დაბალია. სავალუტო რისკი ხასიათდება მერყეობით და ძნელად პროგნოზირებადობით. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სავალუტო ბაზრის მონაწილეებს გააჩნიათ საოპერატიული სწრაფი რეაქცია მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე. სავალუტო რისკის საფრთხის საშიშროების წინაშე ბანკი შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ღია პოზიცია.

სავალუტო რისკების მართვა კომერციულ ბანკებში სხვადასხვა მეთოდებით ხდება. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ შეიძლება ჩატვალდეს მონიტორინგით ბანკში გარკვეული ლიმიტების დადგენა სავალუტო ოპერაციებზე. არსებობს შემდეგი სახის ლიმიტები:

ლიმიტები უცხოურ სახელმწიფოებზე: ამ დროს ხდება იმ მაქსიმალური შესაძლებელი თანხების დადგენა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ოპერაციების განხორციელება კლიენტებთან ამ პარტნიორებთან ყოველი კონკრეტული ქვეყნიდან.

ლიმიტები კონკრეტულ კლიენტებზე ან კლიენტთა გარკვეულ ჯგუფზე: ამ დროს ხდება იმ მაქსიმალური თანხის მოცულობის დანესება, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გარიგებების დადგენა კონკრეტულ კლიენტთან ან მათ გარკვეულ ჯგუფთან.

ყოველდღიური ლიმიტების დადგენა ყოველი კონკრეტული დიდერისათვის: ჩვეულ ბრიკ ან შემთხვევაში ხდება მაქსიმალურად შესაძლებელი ღია პოზიციის დადგენა, რომლის გადატანაც შეიძლება მეორე დღეზე ყოველი კონკრეტული დიდერისათვის.

ლიმიტი დაწესებული შესაძლო ზარალის მაქსიმალური მოცულობაზე: ამ დროს ხდება იმ ზარალის რაოდენობის დანესება, რომლის მოხდენის შემთხვევაშიც ყველა პოზიცია უნდა დაიხროს.

ფინანსურ ბაზარზე მოქმედ სუბიექტს რისკის ფაქტორი ყოველთვის თან სდევს - ეს არის მისი ფინანსური შედეგების განუსაზღვრელობა, განპირობებულია მისი მომავლის განუსაზღვრელობით. ბანკების საქმიანობაში მოგების მიღებისაკენ მიხრავება ნამყვანი პრინციპია. რისკი იმ შესაძლო მოვლენების ღირებულებით გამოხატულებაა, რომელთაც ფინანსურ დანაკარგებამდე მიყვება. საბანკო საქმიანობა დაკავშირებულია მოგების მიღების სურვილთან და ეს ავტომატურად გულისხმობს უამრავი რისკებისადმი დაქვემდებარებას. ის ფაქტი, რომ ბანკები ერთდროულად აწარმოებენ აქტიურობას და გარესსაბანკო ოპერაციებს, დამატებითი რისკის ფაქტორის არსებობის საფუძველია და განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

აქტიურობების მართვის ძირითადი მიზანია რისკის დასაშვები რაოდენობის პირობებში ბანკის მოგების მაქსიმალიზაცია ან უკიდურეს შემთხვევაში, ბანკის მარჟის სტაბილიზაცია (სხვათა საპროცენტო შემოსავლებისა და საპროცენტო ხარჯების შორის). ბანკის დამფუძნებელთა ხასიათი და ბანკის კაპიტალი საბანკო რისკისაგან დაცვის ძირითადი წყაროა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი აქტიურობის მოცულობაში დამფუძნებელთა თანხები უმნიშვნელოა, აქტივების პორტფელის გაუარესება შეიძლება

ბანკის გადახდისუუნარობა გამოიწვიოს. იმისათვის, რომ საბანკო საქმიანობა მომატებული რისკის მქონე სფეროში წარმატებული იყოს, ბანკებმა უნდა განავითარონ რისკის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებული მექანიზმები. ისინი უნდა იძლეოდნენ იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა რაოდენობის რისკები და დანაკარგები შეუძლია აიღოს თავის თავზე საკრედიტო დაწესარესებმა. უნდა განისაზღვროს, ამართლებს თუ არა მოსალოდნელი მოგება ბანკის მიერ განუღებ შესაბამის რისკს. ამის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ლონისძიებები, რომლებიც რისკის ფაქტორების გავლენის შეფასებას მოახერხებენ.

რაც შეეხება საქართველოს კომერციული ბანკების უცხოურ ვალუტებსა და ვაჭრობითი ოპერაციების წარმოქმნა-განვითარებას, უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი საფულეო ბაზარი 90-იანი წლების დასაწყისიდან ყალიბდებოდა საკმაოდ სტატიურ პრობებში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ გამოიწვია უცხოურ ვალუტებზე ოპერაციების წარმოების ბუნებრივი მოთხოვნის წარმოშობა.

ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის პრობებში მოქმედ ნებისმიერი სხვა დანებისებულობა, საბანკო დანებისებულების ფუნქციონირების ძირითადი მიზანი ბანკის მოგების მიღებაა. ფინანსურ ინსტიტუტებში ბანკები გამოირჩევა მათ მიერ შესრულებული საქმიანობების ვრცელი ნაირსახეობით და მოცულობით. ბანკი ეს არის საბანკო უზაცია, რომელიც შექმნილია ფულადი ოპერაციების მოზიდვისა და მათი განთავსებისათვის. მისი ძირითადი ფუნქციაა ფულადი სახსრების გადაადგილებისას გამოვიდეს შუამავლად გამსახებლებსა და მსესხებლებს შორის.

მიღებული მოგების სტაბილურობისა და მისი განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად ბანკებმა შეიძლება გააფართოონ თავიანთი საკრედიტო ოპერაციების მოცულობა, გაზარდონ მოსახლეობისადმი განუღებ მომსახურების პაკეტი და სხვ. მოგების ზრდაზე ზრუნვისას, უშინშენილოვანესი მომენტია, რომ ბანკის ხელმძღვანელობამ შეინარჩუნოს ლიკვიდობა სათანადო დონეზე.

კომერციული ბანკის საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკრედიტო. ეს ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და, ფაქტურად, ნდობის ნიშნავს. დღევანდელ საქართველოში ნდობის მომენტი საკმაოდ რთული და პრობლემურია. კერძოდ, სასესიო ურთიერთობებისას აღმოცენებული საკრედიტო რისკები სერიოზულ პრობლემებს უქმნის ბანკის ეფექტიურ ფუნქციონირებას.

კრედიტის გაცემის პროცესი შედგება რამდენიმე სტადიისაგან. ნებისმიერი მათგანის თუნდაც ნაკლები ყურადღებით ჩატარება გამოიწვევს სერიოზულ ზარალს.

პირველი სტადია ეს არის დაგეგმვის პროცესი,

რომლის დროსაც ხდება ქვეყანაში მაკროეკონომიკური სიტუაციის შეფასება; რეგონალურ დონეზე პოტენციური კლიენტებზე და მომავალი დაკრედიტების დარგზე დაკვირვება. აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ ბანკის ხელმძღვანელობამ უნდა ჩამოაყალიბოს საკრედიტო პოლიტიკის გეგმა განსაზღვრული პერიოდისათვის. აქ ჩამოყალიბებული უნდა იყოს ის ძირითადი მიმართულებები საკრედიტო საქმიანობისა, რომლებსაც ბანკი აპირებს განახორცილოს აღნიშნულ პერიოდში, აგრეთვე ის ფარგლები რომლებშიც უნდა იყოს მოქცეული ეს საქმიანობა, რათა საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს ბანკის ლიკვიდურობა და მოგებიანობა. ეს შეიძლება იყოს მაგალითად, თანაფარდობა კრედიტების მოცულობასა და დეპოზიტების მოცულობას შორის, საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს შორის, ლიმიტები დანებისებულის საკრედიტო პორტფელის სექტორებზე (აქ იგულისხმება ლიმიტების დანესება, მაგალითად ერთი დარგის საწარმოებზე გასაცემ კრედიტებზე ან ერთი სახის კრედიტებზე), გეოგრაფიული ლიმიტების დანესება (ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ბანკებისათვის, რომლებიც ფლობენ უზარდო ფილიალებს სხვადასხვა კვალიფიკაციის დონის მქონე პერსონალთან და ა.შ.

შემდგომი ეტაპია კრედიტის მიღებაზე განაცხადების მიღება, რაც ხორციელდება სპეციალური დოკუმენტაციის თანხლებით. საკრედიტო განყოფილების დანამშრომლების მიერ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის განახილვა და დახარისხება. მათ მიერვე ხდება წინასწარი დასკვნების გამოტანა, თუ რამდენად მიმზიდველია ეს კონკრეტული საბანკო ოპერაცია, ბანკის ინტერესების გათვალისწინებით. ამ საშუალოს განხორციელებისას თანამშრომლებმა უნდა გამოავლინოს ცოდნა კარგი ეკონომისტისა, მარკეტოლოგისა და მთლიანად მაკროეკონომიკური სიტუაციის ცოდნისა ქვეყანაში. ჩტარებული ანალიზის შედეგად უნდა შემუშავდეს გადაწყვეტილება თუ კრედიტის რომელი ფორმაა ყველაზე მისაღები ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ვინაიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტია კრედიტის უზრუნველყოფის ფორმის სწორი შერჩევა.

შემდგომი სტადიაა საკრედიტო ხელშეკრულების პირობების სწორი შესრულებაზე კონტროლი ანუ მონიტორინგი. რა თქმა უნდა ბანკის მოგებიანობის სტაბილურობისათვის მთავარია თავისდროულად ხდებოდეს სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტების დაფარვა. მონიტორინგი საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით.

მონიტორინგის უშინშენილოვანესი ნაწილია ალებული თანხის მიზნობრივი ხარჯვა, კერძოდ, საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებმა ყურადღებით უნდა განიხილონ კრედიტის გაცე-

მისას თანხის მიზნობრივი ხარჯვის წარმოდგენილი გეგმა, ასევე პერიოდულად უნდა აკონტროლონ მიღებული თანხების მიზნობრივად ათვისების პროცესი. მონიტორინგის სტადიაში შედის გირავნობის საგანი. ჩვეულებრივ გირავნობის საგანზე ბანკის თანამშრომლები ანგებენ კონტროლს და ზედამხედველობას. ეს აუცილებელია, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ბანკის მიერ გაცემული თანხის უკან უპრობლემოდ ამოღება.

საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლები აუცილებლად ახორციელებენ კლიენტის ფინანსური მდგომარეობის პერიოდულ ანალიზს, რათა დროულად მოხდეს გარკვეული ფინანსური პრობლემების დაფიქსირება. უმეტეს შემთხვევებში სესხის გაცემა ეტაპობრივად და დამტკიცებული გეგმის მიხედვით ხორციელდება, რაც მსესხებელის გაკოტრების ან ვალის ვერ დაბრუნების საშიშროების წინაშე აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლო ზარალის მინიმიზაციის საშუალებას იძლევა.

ბანკის მომგებიანობა პირდაპირ კავშირშია ისეთ მომენტთან, როგორიცაა მისი ლიკვიდობა (ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - Liquidus. რაც ნიშნავს მიმდინარეს). ტერმინი ფულისმომხმარებელი ფასეულობების გაღება სახსრებში გადაქცევის რეალიზაციის სიმარტივეს. ბანკის ლიკვიდობის ქვეშ იგულისხმება მისი უნარი, დროულად და სრულად დაფაროს საკუთარი სავალ და ფინანსური ვალდებულებები. ამისათვის, ცხადია, საჭიროა, ბანკს ჰქონდეს საკმარისი ოდენობით საკუთარი კაპიტალი, აგრეთვე სწორად და ოპტიმალურად განთავსებული საკუთარი თანხები. სხვა სიტყვებით, კომერციულმა ბანკმა ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში უნდა შეძლოს თავის თავზე ალებული ვალდებულებების შესრულება.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ბანკის აქტივების სწორი მართვა. არსებობს აქტივების მართვის რამდენიმე განსხვავებული თეორია. კომერციული სესხების თეორია თავის ფესვებით მიდის XVIII საუკუნის ინგლისის საბანკო პრაქტიკაში. ამ თეორიის დამცველები ამტკიცებენ, რომ ბანკი ინარჩუნებს ლიკვიდობას, სანამ აქტივები განთავსებულია მოკლევადიან სესხებში. ეს სესხები თავისუფლად უნდა იფარებოდეს საქმიანი აქტივობის ნორმალურ პრობებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით ბანკებმა უნდა დათვინდნენ თანხმოდველობით საქონლის გადაადგილება წარმოებიდან მოხმარებამდე. ადრინდელ მაკროედიტო ითვლებოდა, რომ ბანკებმა არ უნდა დაეკრიდნენ ფასიანი ქაღალდების და უძრავი ქონების შესყიდვებში, გრძელვადიანი სესხების სოფლის მეურნეობისათვის და ა.შ.

კომერციული სესხების თეორია საკმაოდ პოპულარული იყო აშშ-ში კოლონიალური პე-

რიოდიდან დაწყებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ამ თეორიის შესრულების სიმკაცრე, დროის სვლასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. მთავარი მიზეზი ამისა იყო ის, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა სწრაფად მზრდი ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნილებებს. საბანკო სექტორის სწორედ ამ შეზღუდვებს უნდა მივანეროთ მრავალი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტის აღმოცენება, რომლებიც საკმაოდ ძლიერი კონკურენციას უწევდნენ ბანკებს, მათ მიერ შეთავაზებული მომსახურების მეშვეობით.

აგრეთვე არ ითვალისწინებდა ეს თეორია იმ მოვლენას, რომ საბანკო დეპოზიტები ბანკისთვის შეიძლება რესურსების ერთ-ერთი წყაროდ ჩაითვალოს. მართლაც ეს დეპოზიტები კლიენტის მოთხოვნისთანავე უნდა განაღდდეს, მაგრამ შეუძლებელია ყველა დეპოზიტის მფლობელმა ერთდროულად მოინდომოს დეპოზიტების დახურვა. აგრეთვე ეს თეორია არ ითვალისწინებდა იმ მოვლენას, რომ ეკონომიკური ვითარება შეიძლება მოკვლავ შეერიოდეს შერიცხვას და გაემუღული სესხების დაფარვა დროში გაიწელოს, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური ვითარება შესაძლებელია საკმაოდ სწრაფად ცვალებადიც იყოს. აქედან გამომდინარე, ამ თეორიაზე დაყრდნობით ფუნქციონირებისას ბანკებს ეკონომიკური დაცემის პერიოდში სერიოზული პრობლემები უწინდებოდათ.

გადაადგილების თეორია (Shiftability Theory) ეფუძნება იმ მტკიცებას, რომ ბანკი ლიკვიდურია, თუ მისი აქტივები შეიძლება გადაადგილდეს ან შესყიდულ იქნეს სხვა კრედიტორების ან ინვესტორების მიერ; ანუ ამ თეორიის მიხედვით კომერციული ბანკი უნდა ამოღდეს სათანადო რაოდენობით ისეთ აქტივებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში რეალიზაციის მეშვეობით სწრაფად გადაიქცევა ფულად სახსრებად.

ადვილად რეალიზებად ფასიანი ქაღალდები დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ლიკვიდური რესურსების ბრწყინვალე წყაროდ. ასეთი ფასიანი ქაღალდები ადვილად შეიძლება იქცეს ფულად სახსრებად, ამიტომ სწორედ მათ ხშირად განიხილავენ როგორც მეორად რეზერვებს. ეს ფასიანი ქაღალდები უნდა აკმაყოფილებდნენ რიგ პირობებს: მაღალი ხარისხის, დაფარვის მოკლე ვადა და რეალიზებადობა. ეს ფასიანი ქაღალდები არ უნდა ექვემდებარებოდეს საკრედიტორისს და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობას.

ზემოთ აღნიშნულ პირობებს შეიძლება აკმაყოფილებდეს მთელი რიგი ფასიანი ქაღალდების ნაირსახეობა. თუმცა ამ თეორიას გარკვეულ ლოგიკაზე დაფუძნებული საფუძველი გააჩნია. ბანკებმა, რომლებიც მას იყენებდნენ, ვერ აიცილეს პრობლემები 20-იან და 30-იან წლებში.

არსებობს კიდევ ერთი თეორია, რომელიც

ეფუძნება პერსპექტივაში მისაღებ მოგებას. იგი არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ თეორიებს, მაგრამ ანტიციკლებს, რომ კრედიტის გაცემისას მსხვერპლის მომავალი შემოსავლების გათვალისწინება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სესხის უზრუნველყოფის ფორმებზე ყურადღების გამახვილება. ეს თეორია, ფაქტიურად, უპირატესობას ანიჭებს შედარებით მოკლევადიანი სესხების გაცემას, ვინაიდან, გაცილებით უფრო უწყობს ხელს ბანკის ლიკვიდურობას და მომგებიანობას მაგალითად, სამომხმარებლო სესხების გაცემა, ვიდრე გრძელვადიანი მშენებლობების დაკრედიტება. ამ თეორიის მიხედვით სასურველია ბანკის საკრედიტო პორტფელში ბლომად იყოს სესხები, რომელთა დაფარვაც ყოველთვის უზრუნველყოფს მიხედვით ხდება, ვინაიდან სახსრების შედარებით შემოდინება საჭიროების შემთხვევაში ბანკს, ლიკვიდობის შესანარჩუნებლად, საშუალება ეძლევა დახარჯოს თანხები ან მოახდინოს მათი რეინვესტირება.

ამ თეორიამ დიდი წვლილი შეიტანა კომერციული ბანკების საქმიანობის სტრატეგიის ფორმირებაში. მასზე დაყრდნობით კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს თავისი პორტფელების დაგეგმვისას საფუძვრებრივი პრინციპის გამოყენება.

აქტივების მართვის ქვეშ იგულისხმება მართვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მართვა მოზიდული და საკუთარი სახსრების ხარტვა და განთავსება, კომერციული ბანკების შემთხვევაში ეს არის განაწილება ნაღდ ფულზე, ინვესტიციებზე, სესხებზე და სხვა აქტივებზე. ერთი შეხედვით, ყველაზე ოპტიმალურია იმ სვეროებში თანხების განთავსება, სადაც შესაძლებელია ნორმალური დონის მოგების მიღება ისეთი რისკის პირობებში, რაზეც ბანკი მზად არის ნაფიცად.

ბანკის მიერ მოზიდული რესურსების უმეტესი ნაწილი უნდა განაღდდეს მოთხოვნისთანავე ან მოკლე პერიოდში. ამიტომ ბანკის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ამის უზრუნველყოფაა. აგრეთვე უმთავრესია საჭირო რაოდენობის თანხების მოძიება საკრედიტო საქმიანობისათვის. ეს საქმიანობა (ანუ კრედიტის გაცემა) ბანკის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი სფეროა; თუ ბანკს არ აქვს კრედიტზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო თანხები, იგი ნახავს ზარალს. ეს ზარალი გამოწვეული იქნება იმ შესაძლო მომგებიანი ოპერაციების ვერ განხორციელებით, რომელთა დაფინანსებითაც ბანკი მოგებას მიიღებდა.

მართალია ბანკები განეკუთვნება კერძო კომერციულ დაწესებულებებს და მათი საქმიანობა ლიკვიდობის შესანარჩუნების პირობებში უნდა იყოს მომგებიანი, მაგრამ ბანკი აგრეთვე წარმოადგენს ქვეყანაში ფულის მასის ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებელს, რაც ქვეყნის და საზოგადოების წინაშე გარკვეულ პასუხის-

მგებლობას წარმოშობს. ხოლო, ბანკის აქციონერების და მისი მეანბარეების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მეანბარეების ინტერესებშია, რომ ბანკი მუდმივად ლიკვიდობის მაღალ დონეს ინარჩუნებდეს, მაშინ როდესაც აქციონერებისათვის მთავარია მომგებიანობის მაღალი დონე და მოგების განუხრელი, სტაბილური ზრდა.

ეს ფარული კონფლიქტი შეიძლება ჩათვალოს ბანკის ხელმძღვანელების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. ბანკის ხელმძღვანელობა მუდმივად გრძნობს ფარულ ზენოლას აქციის მფლობელთაგან, რომლებიც დანიტრეცესიული არიან მოგების ზრდაში. ამის მიღწევა შეიძლება კრედიტების გაცემით სარისკო ოპერაციებზე, რეზერვის სახით ბანკში არსებულ თანხების შემცირებით და სხვა მსგავსი მოქმედებებით, მაგრამ ბანკის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ეს სერიოზულად შეამცირებს ბანკის ლიკვიდობის დონეს.

აქედან გამომდინარე, ბანკებმა ისე უნდა მართოს თავისი აქტივები, რომ ერთი მხრივ, არ შემცირდეს მომგებიანობა და მეორე მხრივ, შენარჩუნდეს სათანადო ლიკვიდობის დონე. სახსრების განთავსებისას ბანკებმა, შეიძლება გამოიყენონ საკმაოდ განსხვავებული მეთოდები, კერძოდ სახსრების განთავსების ერთ-ერთი მეთოდია ერთიანი ფონდის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებისას ხელმძღვანელი ახდენს ბანკის განკარგულებაში შემოსული ყველა სახსრების (ანაბრები მოთხოვნამდე, სხვადასხვა დეპოზიტები, ბანკის საკუთარი სახსრები და სხვ.) ერთ ფონდში გაერთიანებას, რის შემდეგაც თანხა ამ ერთიანი ფონდიდან ნაწილდება აქტივების სხვადასხვა სახეებს შორის, ბანკი გასცემს სესხებს, იქნეს ფასიან ქაღალდებს, ახდენს სავალუტო ოპერაციებს და ა.შ. ამ მეთოდით ხელმძღვანელობისას არა აქვს მნიშვნელობა სახსრების წარმოშობის წყაროს, მათი განთავსება ხდება ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ეს ხელს უწყობს ბანკის რაიმე მიზანს.

ეს მეთოდი მოითხოვს ბანკის ხელმძღვანელობისგან როგორც მომგებიანობის, ასე ლიკვიდობის თანაბარ დაცვას. ამიტომ თანხების განთავსება ხდება იმ მიმართულებებით, რომლებიც უფრო მეტად აკმაყოფილებენ ამგვარ მოთხოვნებს. ანუ სახსრების განთავსებისას პრიორიტეტია ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის გარკვეული ბალანსის დაცვა. ასეთი მიდგომისას ძალიან მნიშვნელოვანია აქტივების სტრუქტურა, კონკრეტულად კი, თუ რა წილს დაიკავებს აქტივებში პირველი ხარისხის რეზერვები, რაც კომერციული ბანკის ლიკვიდობის მთავარ გარანტიას წარმოადგენს. ჩვეულებრივ აქ მოიაზრება ბანკის განკარგულებაში არსებული ნაღდი ფული, სხვა ბანკების დავალიანება, საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრები და სხვ.

ამის შემდგომ ბანკის მიერ შემუშავდება მოკლევადიანი და მინიმალური რისკის მქონე სვეროებში დასაბანდებელი აქტივების ნაწილის საჭირო ოდენობა. მათი ფულად ფორმაში გადაქცევა შესაძლებელი უნდა იყოს ძალიან სწრაფად. ეს აქტივები გამოიყენება ზემოთ აღნიშნული რეზერვების შესავსებად. შემდგომ ეტაპად გვევლინება საკრედიტო პორტფელის ფორმირება. ნორმალურ პირობებში კრედიტები და საკრედიტო საქმიანობა წარმოადგენს ბანკის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას და მოაქვს მოგების დიდი ნაწილი, თუმცა იმავდროულად ეს ოპერაციები ერთ-ერთი ყველაზე სარისკოცაა ბანკისათვის.

ბანკი აგრეთვე ახდენს საკუთარი ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებას. მომგებიანი საკრედიტო ოპერაციების განხორციელების შედეგად მიღებული თანხები ბანკმა შესაძლებელია გამოიყენოს შედარებით გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში დასაბანდებლად. ამ მოქმედების მიზანია მოგების მაქსიმალური. სასურველია სახსრები, რომლებსაც მოგება არ მოაქვთ, ბანკში იყოს მინიმალური რაოდენობით.

ერთიანი ფონდის მეთოდით აქტივებთან მუშაობა ბანკს საშუალებას აძლევს საკმაოდ ფართო არეალიდან განახორციელოს ოპერაციები, მაგრამ მეორე მხრივ, იგი სათანადო დონეზე ვერ ხსნის მომგებიანობა-ლიკვიდურობის დილემას.

განსხვავებული მეთოდია აქტივების განაწილების მეთოდი. წინა განხილულ მეთოდში დიდი ყურადღება ექცევა ბანკის ლიკვიდობის მოვლაში, მაგრამ არ იყო განაწილებული ლიკვიდობაზე მოთხოვნილებებში არსებული განსხვავებები. სხვადასხვანაირი მოთხოვნები ლიკვიდობაზე, მაგალითად, დეპოზიტების მიმართ, მოთხოვნამდე ანაბრების მიმართ, საკუთარი კაპიტალის მიმართ და სხვ. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებაზე აგებული აქტივების დანაწილების მეთოდის არსი. ამ მეთოდით მუშაობისას ხდება - ბანკის ლიკვიდობის შესანარჩუნებლად საჭირო რესურსები კონკრეტულად საიდანაა მოზიდული - ამის დაფიქსირება. მაგალითად, უდავო ფაქტია, რომ ბანკს გაცილებით მეტი მოცულობის რეზერვები ესაჭიროება მოთხოვნამდე თანხების მომსახურებისათვის, ვიდრე მაგალითად სხვა სახის ანაბრებზე. კერძოდ, ამ მეთოდის გამოყენებისას წარმოშობის მიხედვით პირობითად ცალკეად ჯგუფდება სახსრები, რის შემდეგაც მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილება, თუ რა რაოდენობით სახსრებია საჭირო ლიკვიდობის შესანარჩუნებლად.

აღნიშნული მეთოდის დადებითი მხარეა ის, რომ ასეთი პრინციპით მუშაობისას შესაძლებელია ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის საჭირო რესურსების შედარებით უუსუსტად დადგენა. აქედან გამომდინარე, ხდება მეტი თანხის გამოწევა-

ვის უფლება მაგალითად, საკრედიტო ან საინვესტიციო საქმიანობისათვის, რაც თავის მხრივ იწვევს მოგების მაჩვენებლის ზრდას. ხოლო უსუსტ მხარედ (როგორც წინა მეთოდის) შეიძლება ჩათვალოს ის, რომ პირველი აქტივები კეთდება ძირითადად ლიკვიდობის დონეზე, შემდეგ კი კრედიტებზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებათ.

ზემოთ განხილული მეთოდები შედარებით მარტივია, საუკეთესო შედეგების მისაღწევად კი ბანკმა სასურველია მიმართოს სხვადასხვა მათემატიკურ მეთოდებს. არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ლიკვიდობის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ბაზრიდან დამატებითი რესურსების მოზიდვით.

პასივების მართვის თეორია ეფუძნება რამდენიმე მსკვიცებას:

- კომერციულმა ბანკმა შეიძლება გადაწყვიტოს ლიკვიდობის პრობლემა ბაზრიდან დამატებითი რესურსების მოზიდვით, მათი შესყიდვის გზით კაპიტალის ბაზარზე.
- კომერციულმა ბანკმა შეიძლება უზრუნველყოს თავისი ლიკვიდობა ცენტრალური ბანკიდან რესურსების მოზიდვით ან ბანკი კორესპონდენტებისაგან სესხის აღების გზით.

დღესდღეობით კომერციული ბანკები, თანაწილად აქტიური ოპერაციების დასაფინანსებლად, ფართოდ მიმართავენ სახსრების მოზიდვის ხერხს, ზოგიერთ შემთხვევაში ამ გზით მოზიდული რესურსებით აქტიური ოპერაციების 80% ფინანსდება.

ფართო გაგებით პასივების მართვა კომერციულ ბანკში ნიშნავს საქმიანობას დაკავშირებულს თანხების მოზიდვასთან მეანბარეებისგან ან სხვა კრედიტორებისგან იმ თანაფარდობით და რაოდენობით როგორც აკმაყოფილებს ბანკის მიზნების მიღწევას. უკანასკნელ პერიოდში ბანკები მსოფლიოში ხშირად მიმართავენ დიდი ოდენობით სესხებს ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად და ამ მეთოდმა პასივების მართვის სახელწოდება მიიღო.

რა თქმა უნდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმიანობა კონკრეტული ღონისძიებების ჩატარება ლიკვიდობისა და, რაც მთავარია, მომგებიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. თუ ბანკი ამ მხრივ გარკვეულ პრობლემებს განიცდის, შესაძლებელია საჭირო გახდეს პირველ რიგში სტრუქტურის გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა. შეიძლება შიდა აუდიტის საშუალო-გაძლიერება, მენეჯმენტის გადასხვაფერება და სხვა.

კომერციული ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად არსებობს უამრავი მაჩვენებელი. ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა კოეფიციენტები. ასეთი კოეფიციენტია მაგალითად, ბანკის ვალდებულებათა კოეფიციენტი. მის მისაღებად საჭიროა ბანკის საკუთარი

საშუალებების ჯამი შევადაროთ მის ვალდებულებათა ჯამს. ბანკის საკუთარ საშუალებებში შედის სანქსდებო ფონდი, სარეზერვო ფონდი, სპეციალური ფონდები და სხვ. ბანკის ვალდებულებებია: სახელმწიფო და კერძო სექტორის სანარმო-ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული საშუალებათა ნაშთი, აგრეთვე საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი, სანარმო-ორგანიზაციათა კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის განკუთვნილი საკუთარი საშუალებანი მინუს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების თანხები, ორგანიზაციათა და კოოპერატივების დეპოზიტები, მოსახლეობის ანაბრები, სხვა ბანკებიდან მიღებული სესხები და სხვ.

მოსახლეობის ანაბრების კოეფიციენტი გამოითვლება ანაბრების არსებული ნაშთების შეფარდებით ბანკის საკუთარ საშუალებებზე. ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს, ანუ სასურველია მოსახლეობის ანაბრები არ აღემატებოდეს საკუთარი რესურსების ფარგლებს. ბანკის ბალანსის საშუალოვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი მიიღება ბანკის ერთ წელზე მეტი ხნის ხანგრძლივობის აქტივების შეფარდებით ბანკის საკუთარ საშუალებებს მიმატებული სადეპოზიტო ანგარიშების მიხედვით ბანკის ვალდებულებები მიმატებული კრედიტები ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით. ეს კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს, ანუ გრძელვადიანი კრედიტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საკუთარ საშუალებათა ჯამს და ბანკის მიერ მოზიდულ სხვა გრძელვადიან რესურსებს.

კიდევ ერთი კოეფიციენტი ბანკის ბალანსის მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი. იგი გამოითვლება ბანკის ბალანსის ლიკვიდური აქტივების შეფარდებით ბანკის ვალდებულებებზე მოთხოვნამდე. ბანკის ლიკვიდური აქტივებში მოიაზრება ბანკის სალაროსა და გზაში მყოფი ფულადი საშუალებები, ქვეყნის საკრედიტო დანქსებულებულებების ანგარიშებზე არსებული ნაშთი, ბანკის კუთვნილი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, კრედიტები და ფულადი გადასახდელების სხვა სახეობები, რომელთა გადახდის ვადაზე არაუმეტეს ერთი თვეა დარჩენილი. ხოლო ბანკის ვალდებულებებს მოთხოვნამდე განეკუთვნება სახელმწიფო და კერძო სექტორის სანარმო-ორგანიზაციის ანგარიშებზე არსებული ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ნაშთი, აგრეთვე საბიუჯეტო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთი, მოსახლეობის ანაბრების ნაშთის ნაწილი, დეპოზიტები თვემდე დაფარვის ვადით, ბანკის მიერ ერთ თვემდე დაფარვის ვადით გაცემული გარანტიები და თავდები.

აგრეთვე არსებობს ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი. მაგალითად, მაღალი

რისკის დაბანდებაების კაპიტალით უზრუნველყოფა გამოითვლება ბანკის კაპიტალის შეფარდებით აქტივების ჯამზე გაანგარიშებული მაქსიმალური რისკის გათვალისწინებით.

ერთ მსესხებელზე მაქსიმალური რისკი გამოითვლება კრედიტებზე მსესხებლის ვალდებულებების საერთო თანხის და აგრეთვე მოცემული მსესხებლისათვის ბანკის მიერ გაცემული ბალანსგარეშე ვალდებულებების თანხის 50% შეფარდებული ბანკის კაპიტალზე. ბანკის ერთ მსესხებელზე მაქსიმალური რისკი არ უნდა აღემატებოდეს ბანკის აქტივების საერთო ჯამის 10%-ს.

კომერციული ბანკის ბალანსის ლიკვიდობის დაუბალანსებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის ზრდის ძირითადი ფაქტორებია:

- შეცდომები საბანკო პოლიტიკაში;
- ბაზრის არასწორი შეფასება;
- ხარვეზები ანალიტიკურ საქმიანობაში;
- სხვა სახის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები;

ამ რისკის მართვა შეიძლება სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით:

- მოთხოვნამდე ბანკის ვალდებულებების შემცირება პასივების ვადების მიხედვით ხელახალი დაჯგუფების გზით;
- ლიკვიდური აქტივების გაზრდა, მათ შორის კრედიტების შესაბამისი ოდენობის დაფარვის გზით;
- ბალანსის „განმენდა“ დამოუკიდებელ ბალანსზე საბანკო საქმიანობის ცალკეული სახეობების გამოყოფის გზით;
- საკუთარი საშუალებების გაზრდა;
- სხვა ბანკებიდან სესხების აღება და სხვ.

კომერციული ბანკის მმართველობამ უნდა გადაწყვიტოს მომგებიანობასა და ლიკვიდობას შორის ზღვარის გავლენის ადგილი. ფაქტორად ლიკვიდობის შეზღუდვებამაღალ დონეზე სერიოზულად ეწეება ბანკის მომგებიანობას და ბანკის აქციონერებს საკმაოდ უარყოფითად შეაფასებენ მის მოქმედებას მიუხედავად იმისა თუ როგორ იქნება მისი ლიკვიდობა.

ბანკის აქტივების მართვისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ნაღდი ფულის რაოდენობის მართვისას საჭიროა მისი შესაძლო გადინებებისა და შემოდინების სწორად გათვლა, რათა არ შეიქმნას თანხის დეფიციტი, რომელიმე მომენტში;
- ბანკმა უნდა განათავსოს თავისი მოზიდული სახსრები მათი მოზიდვის ვადების მკაცრი გათვალისწინებით. არ შეიძლება ამ ვადების გადაღება;

• საკრედიტო პორტფელის მართვისას აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: ა) უნდა ხდებოდეს კონტროლირება

განთავსებული კრედიტებისა მათი რისკის ხარისხის, უზრუნველყოფის ფორმების, მომგებიანობის და სხვ. მიხედვით; ბ) გაცემული კრედიტების გაანალიზება მათი დაბრუნების ვადების მიხედვით (მაგალითად, შეიძლება გარკვეული პირობითი ჯგუფების შექმნა 1-დან 3 თვემდე, 3-დან 6 თვემდე, 6-დან 12 თვემდე და ა.შ.); გ) შესაძლო რესურსებისა და მოთხოვნილების პროგნოზირება და მისი შესაძლებლობის ფარგლებში დაბალანსება კრედიტებზე (ეს ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა ბანკისათვის ვინაიდან მასზე დაყრდნობით ბანკი იღებს გადაწყვეტილებებს მოსაზიდი რესურსების ოდენობაზე); დ) მსესხებლის კრედიტუნარიანობის ზედმიწევნით შემოწმება; ე) ერთ მსესხებელზე შესაძლო კრედიტის ოდენობის განსაზღვრა საკუთარ რესურსებთან მიმართებაში; ე) კრედიტების დაბრუნებადობის მაღალი მაჩვენებლის უზრუნველყოფა სანდო უზრუნველყოფის ფორმებზე დაყრდნობის გზით;

• სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ბანკის კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებზე თანხების ბრუნვის სისწრაფის დადგენა. ეს მონაცემები საშუალებას მისცემს ბანკს გადააჯგუფოს თავისი აქტივები, აგრეთვე შეიმუშაოს ინდივიდუალური მომსახურების ტარიფები კლიენტთა გარკვეული ჯგუფისათვის;

• განხორციელება თვის ოპერაციების რისკის დონის შემცირებაზე მუშაობა. ამის მიღწევა გარკვეულწილად შესაძლებელია ეროვნული ბანკის სწორებისა და ნორმატივების შესრულებით. თუმცა ეს საკმარისი არაა და საჭიროა ბანკში ყოველდღიურად ხდებოდეს აქტივების მდგომარეობის განალიზება და სათანადო ღონისძიებების გატარება არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ამ ყველაფერისათვის კი საჭიროა საკმაოდ მაღალკონკრეტული ბაზის შექმნა.

რაც შეეხება პასივების მართვას, ამ კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

- პასივების განთავსების განალიზება მათი ვადების მიხედვით, რაც საშუალებას მისცემს ბანკს მოახდინოს მათი სტრუქტურის პროგნოზირება;
- ბანკის მოზიდული და საკუთარ რესურსებს შორის თანაფარდობის მუდმივად გაანალიზება;
- ბანკის დეპოზიტთა ბაზის გაანალიზება: ა) მათი სტრუქტურის შესწავლა; ბ) მარკეტინგული მეთოდების გამოყენების საშუალებით მეტი დეპოზიტების მოზიდვა კლიენტებისაგან; გ) დეპოზიტების წყაროების მიხედვით გაანალიზება (მაგალითად, დეპოზიტები ფიზიკური პირებისა შედარებით სტაბილური ვიდრე იურიდიული შესაბამისობაში მოყვანა); ე) სხვა საკრედიტო დაწესებულებებისაგან მიღებული დეპოზიტების ნდობის ფაქტორის განალიზება.

ბანკის ფუნქციონირებისას ერთ-ერთი პრობლემატური მომენტია საკრედიტო რისკის მომენტი. საკრედიტო რისკი არსებობს დაკრედიტების მთელი პროცენტის განმავლობაში. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება იმის შესაძლებლობა, რომ ვალის დაფარვა ვერ მოხდება მთლიანად და დროულად. ვალი ძირითადად შეიძლება დაიფაროს სამი წყაროდან:

- კომპანიამ შეიძლება მიიღოს ფულადი სახსრები საკუთარი საქმიანობის შედეგად;
- კომპანიამ შეიძლება მოიძიოს თანხები საკუთარი აქტივების გაყიდვით ან რეზერვებიდან;
- დამატებითი გზებით, მაგალითად ახალი სესხის აღებით ან ახალი აქციების გამოშვებით.

კომერციული ბანკის ფუნქციონირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა - საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ხოლო ამ პროცენტის სისწრაფე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბანკის შემოსავლების დონეზე. განვიხილოთ ბანკის ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ძირითადი საქმიანობის სახეები:

- კომერციული ბანკის საქმიანობა დაკავშირებული საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან. საკუთარი აქციების კომერციული ბანკები უშუალოდ საკუთარი სანქსდებო კაპიტალის შესაქმნელად ან შესასვებად;
- კომერციული ბანკების საკუთარი ოპერაციები ფასიანი ქაღალდებთან. ასეთი ოპერაციები ხორკილდება თვით ბანკის ინიციატივით საკუთარი სახელით და საკუთარი ხარჯებით. ბანკებმა შეიძლება ჩადონ თანხები ფასიანი ქაღალდებში შემოსავლის მიღების მიზნით. ეს საქმიანობა შეიძლება გარკვეულ ალტერნატივად ჩავთვალოთ ბანკის საკრედიტო საქმიანობასთან მიმართებაში;

• კომერციული ბანკები შეიძლება ეწეოდნენ საბროკერო საქმიანობას თავისი კლიენტების გარკვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ფასიანი ქაღალდები შეიძლება შექმნილიყნას კლიენტისათვის ბირჟაზე ან საკუთარი პორტფელიდან;

• კომერციული ბანკები შეიძლება ეწეოდნენ საინვესტიციო კომპანიების მსგავს საქმიანობას და ახორციელებდნენ სერიოზულ საინვესტიციო საქმიანობას.

ამ საქმიანობაში რა თქმა უნდა ერთ-ერთი უმთავრესია პორტფელის ფორმირება. ძირითადი პრინციპები პორტფელის ფორმირებისას შემდეგია:

- დაბანდებაების უსაფრთხოება;
 - დაბანდებაების ზემოსავლიანობა;
 - დაბანდებაების ზრდადობა;
 - დაბანდებაების ლიკვიდურობა.
- სერიოზული შესაძლო დანაკარგების შემცირება შესაძლებელია ფინანსური დაბანდებაების

დივერსიფიცირების მეშვეობით, რაც გულისხმობს გარკვეული რაოდენობის განსხვავებული ტიპის ფასიანი ქაღალდების შექმნას. პორტფელი, რომელიც შედგება მრავალი განსხვავებული ფასიანი ქაღალდებისაგან მეტწილად დაცულია პრობლემებისაგან.

საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავების ძირითადი მომენტებია შესაძლო შემოსავლების (დასაბანდებელი თანხების გათვალისწინებით), ინვესტირების ვადის და შესაძლო რისკების გაანალიზება. სტრატეგიის შემუშავებისას პირველ რიგში რა თქმა უნდა მოგვების მაქსიმალური ზაციის გათვალისწინება ხდება.

შესაძლებელია პორტფელში ინვესტირება პასიური და აქტიური მართვით. პასიური პრინციპის გამოყენებისას ფაქტიურად ხდება ფასიანი ქაღალდების შესყიდვა და შენახვა დივერსიფიცირებული პორტფელის მეშვეობით, რომელიც შეიცავს როგორც გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს - შემოსავლიანობის უზრუნველსაყოფად, ასევე მოკლევადიანებს - ლიკვიდობისათვის.

პორტფელის აქტიური მართვის მეთოდი გულისხმობს ხშირ გადაჯგუფებას მისი შემადგენლობისა და გადაფასება იმ ფასიანი ქაღალდების განთავსებას, რომლებიც მოკლევადიან მომენტში ყველაზე მომგებიანია. გასაგებია, რომ ამგვარი პრინციპი ძალზედ რთულ ანალიტიკურ მუშაობას მოითხოვს. გარდა ამისა, საჭიროა საკმაოდ დიდი დანახარჯების განხილვა, რათა ხდებოდეს უახლესი ინფორმაციის მიღება და მისი სათანადო დონეზე დაბეჭდვა.

პორტფელური ინვესტიციების განხორციელებისას უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა გარკვეული პოლიტიკის გამოყენება. ამისათვის უნდა მოხდეს: ა) ინვესტირების ძირითადი მიზნების გამოკვეთა; ბ) საინვესტიციო პორტფელის შემადგენლობის განსაზღვრა (ანუ იმის განსაზღვრა თუ რომელი ფასიანი ქაღალდებია მისაღები); გ) ფასიანი ქაღალდების პორტფელის ხარისხის განსაზღვრა და სხვ. გარდა ამისა, საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრაზე ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული სიტუაცია. საინვესტიციო პორტფელის ქვეშ იგულისხმება ფასიანი ქაღალდების გარკვეული ერთობლიობა, რომლებიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საზღვარგარეთ ბანკები თავიანთი პორტფელის ფორმირებისას ხშირად მიმართავენ შემდეგ ხერხს: დაახლოებით 70%-ს იღებენ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, 25%-მდე მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებს და დარჩენილ 5%-ს კი დანარჩენი სახის ფასიანი ქაღალდებით. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ასეთი სტრუქტურა ძირითადად ახასიათებს დიდ და ძლიერ ბანკებს. შედარებით პატარა ბანკები საკუთარ პორტფელში, როგორც წესი, უფრო

მეტად ლიკვიდურ ფასიან ქაღალდებს ათავსებენ. პორტფელური ინვესტიციების მთავარი მიზანია ინვესტირების ხარისხის ამაღლება ფასიანი ქაღალდებისადმი ისეთი საინვესტიციო თვისებების მინიჭებით, რომლებიც მიუღწევადია ერთი რომელიმე კონკრეტული ფასიანი ქაღალდის მეშვეობით და შესაძლებელია მხოლოდ მათი გარკვეული კომბინაციისას. მხოლოდ პორტფელის ფორმირებისას მიიღწევა ინვესტირების გარკვეული სასურველი ხარისხი, ანუ შემოსავლის გარკვეული, შედარებით სტაბილური დონე მინიმალური რისკის პრობებში.

პორტფელური ინვესტირების კიდევ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ გარკვეული კონკრეტული მიზნების მისაღწევად შეიძლება პორტფელის შემადგენლობის სწრაფად შეცვლა. არსებობს განსხვავებული სახის პორტფელები. განსხვავება მათ შორის მდგომარეობს ძირითადად შემოსავლიანობასა და რისკის დონის თანაფარდობაში. განვიხილოთ ზოგიერთი ტიპის საინვესტიციო პორტფელები:

ენ. ზრდის პორტფელი - ფორმირდება მზარდი ფასის აქციებისაგან. ასეთი პორტფელის მიზანია მისი კაპიტალური ფასის ზრდა. მართალია ასეთი პორტფელის შემთხვევაში დივიდენდები მიიღება, მაგრამ ისინი საგრძნობლად მცირეა.

აგრესიული ზრდის პორტფელი - იგი ორიენტირებულია კაპიტალის მაქსიმალურ შესაძლო ზრდაზე როგორც წესი, მის შემადგენლობაში ახლად შექმნილი სწრაფად მზარდი კომპანიები. ასეთი პორტფელი ერთ-ერთი ყველაზე ხარისხიანია, სამაგიეროდ არის შანსი საკმაოდ დიდი მოგების მიღებისა.

კონსერვატიული ზრდის პორტფელი - ამ ჯგუფის პორტფელებში იგი ყველაზე ნაკლებად სარისკოა და შედგება, როგორც წესი, ცნობილი, დიდი კომპანიების აქციებისაგან, რომელთა აქციების ფასიც სტაბილურად ნელა იზრდება. ეს პორტფელი ორიენტირებულია მინიმალურ რისკზე და კაპიტალის შენარჩუნებაზე.

საშუალო ზრდის პორტფელი - გარკვეულ საშუალო ვარიანტს წარმოადგენს აგრესიული და კონსერვატიული ზრდის პორტფელებს შორის. ასეთ პორტფელში საანდო ფასიან ქაღალდებთან ერთად ხდება საკმაოდ რისკიანი ფასიანი ქაღალდების განთავსებაც, რომლებიც პერიოდულად განიცდიან განახლებას. ამ დონის ხდება საშუალო დონეზე კაპიტალის ზრდა და რისკის შედარებით ზომიერი დონით არსებობა. პორტფელის ეს სახე ერთ-ერთი ყველაზე მოპულარულია, რადგან მას რისკის მცირე დონე ახასიათებს.

შემოსავლების პორტფელი - იქმნება მაქსიმალური მიმდინარე მოგების მისაღებად პროცენტებისა და დივიდენდების სახით. ასეთი პორტფელი შედგება ისეთი ფასიანი ქაღალდებისაგან, რომელთა ფასიც საკმაოდ ნელი ტემპით

იზრდება და მათი მიმზიდველობა მხოლოდ დიდ დივიდენდებში მდგომარეობს. ასეთი პორტფელი იქმნება მაშინ, როდესაც მთავარი მიზანია მიმდინარე შემოსავლების მაქსიმალური ზრდა.

რეველარული შემოსავლების პორტფელი - ფორმირდება მაქსიმალურად სანდო, სტაბილური შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდებისაგან.

ზრდისა და შემოსავლის პორტფელი - ასეთი ტიპის პორტფელის ფორმირება ერთი მხრივ, ხდება დანაკარგებისაგან (მაგალითად, აქციების ფასის შემცირებისაგან), ხოლო მეორე მხრივ, დივიდენდების შემცირებისაგან თავის დასაცავად. ამ პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ერთი ნაწილი იძლევა მაღალ შემოსავლებს, ხოლო მეორე კი - კაპიტალის ზრდას. ასეთი პორტფელის ერთი შემადგენელი ნაწილის მიერ მიღებული ზარალი შეიძლება კომპენსირდებოდეს მეორე ნაწილიდან მიღებული შემოსავლით.

დაბალანსებული პორტფელი - მის მფლობელს სთავაზობს როგორც შემოსავლების, ასევე რისკების დაბალანსებას. ასეთი ტიპის პორტფელი შეიძლება შეიცავდეს მაღალი რისკის მქონე ფასიან ქაღალდებსაც, როგორც წესი, ასეთ პორტფელში შედის ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები და ობლიგაციები. ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით მისი შემადგენლობის სტრუქტურა შეიძლება გარკვეულწილად იცვლებოდეს.

საინვესტიციო პორტფელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა მისი ლიკვიდურობა, ანუ თვისება მისი სწრაფად გადაქცევისა ფულად სახსრებად. აქედან გამომდინარე, სასურველია, პორტფელი შედგებოდეს მაღალი ლიკვიდობის მქონე ფასიანი ქაღალდებისაგან. გარდა ამისა, საჭიროა განსაზღვრული რაოდენობით ნაღდი ფულის რეზერვების ქონა გარკვეული საინვესტიციო საქმიანობის ოპერაციულად განსახორციელებლად, თუ გაჩნდება ამის საჭიროება. თუ ერთ-ერთი ვალუტა საკმაოდ არასტაბილური კურსით ახასიათდება, საჭიროა, რეზერვების უცხოურ ვალუტაში ფორმირება.

ასევე ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია პორტფელის ფორმირება გადასახადებისაგან განთავისუფლებული ფასიანი ქაღალდებისაგან. ასეთ პორტფელში, როგორც წესი, შედის სახელმწიფოს საჯარო ვალდებულებები და იგი მიზნად ისახავს კაპიტალის შენარჩუნებას და მიზანდარობად ლიკვიდობის მაღალი დონის უზრუნველყოფას. ასეთი პორტფელის მოპულარობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო ანთავისუფლებს ის სახის შემოსავლებს გადასახადებისაგან, რითაც ხდება გარკვეული ნახალისება. მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები პორტფელი ერთ-ერთი ყველაზე სანდო ნაწილად ითვლება, ვინაიდან

სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა შედარებით შეუძლებელია, ამიტომ რისკიც მინიმალურად დასის.

პორტფელის ფორმირება აგრეთვე შეიძლება მუნიციპალური ფასიანი ქაღალდებისაგან. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი ნაშაბლისებელი ფაქტორია შეღავათები საგადასახადო დაბეგრისას.

იმის მიხედვით თუ რა პრიორიტეტულ მიზნებს ისახავს ფასიანი ქაღალდების პორტფელის მფლობელი, მისი შემადგენლობა განსხვავებულია. მაგალითად, არსებობს ე.წ. კონვერტირებადი პორტფელები. ისინი შედგება მაგალითად, ისეთი პრივილეგირებული აქციებისაგან, რომელთა გაცვლაც კონკრეტულ მომენტში შეიძლება გარკვეული რაოდენობის ჩვეულებრივი აქციებზე წინასწარ ფიქსირებული ფასით. ეს კი დამატებით შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

ასევე არსებობს პორტფელები შედგენილი რეგიონალური პრინციპის მიხედვით. ასეთ პორტფელს განეკუთვნება გარკვეული ქვეყნების მიხედვით შედგენილი პორტფელები.

საჭიროა იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომ ზედმეტი დივერსიფიკაცია ხშირად საკმაოდ უარყოფით ეფექტს ბადებს. საერთო ჯამში მიზანსწრაფობადი უნდა იყოს მისი მიღება, ამიტომ ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებაზე და მომსახურებაზე განუვლილ ხარჯები უნდა იყოს შედეგებისდაცვარად მინიმალური. პორტფელის ზედმეტი დივერსიფიკაცია იწვევს:

- პორტფელის ხარისხიანად მართვის შესაძლებლობის შემცირებას;
- ხშირად არასათანადო დონეზე შემოსავლიანი, სანდო და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების შექმნას;
- დანახარჯების ზრდას, ვინაიდან საკმაოდ რთულია ზედმეტად დივერსიფიცირებული პორტფელის მართვა (ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ შემოსავლები ასეთ შემთხვევაში პროპორციულად გაიზრდება);
- ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირების თანახმად გარკვეული რისკები;
- სისტემატური რისკი - ეს არის ფასიანი ქაღალდების დაცემის რისკი მთლიანობაში. იგი არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ ფასიან ქაღალდთან. სისტემატური რისკის ანალიზი სვამს კითხვას - ღირს თუ არა კონკრეტულ არსებულ სიტუაციაში პორტფელის შექმნა; შესაძლებელია უფრო იყოს არსებული სიტუაციაში დაბანდებულების განხორციელება პირდაპირ ინვესტიციებში, უძრავ ქონებაში ან თუნდაც უცხოურ ვალუტაში.
- არასისტემატური რისკი - აქ გაერთიანებულია რამე კონკრეტულ ფასიან ქაღალდთან

დაკავშირებული ყველა სახის რისკი. იგი შემცი-
რებადი და დივერსიფიცირებადი. სწორი შერ-
ჩევის მშვენიერად შეიძლება შერჩევა ისეთ ფასიან
ქალაქზე, რომელსაც ახასიათებს მისაღები
დონის არასისტემატური რისკი.

• **სელექციური რისკი** - ანუ რისკი, რომელიც
დაკავშირებულია პორტფელის შემადგენლობის
არასწორ შერჩევასთან. მას ადგილი აქვს ფასიანი
ქალაქების არასწორი განხილვისას.

• **დროებითი რისკი** - იგი ვლინდება მაშინ,
როდესაც პორტფელისათვის ფასიანი ქალაქ-
დების შესყიდვა, ან მათი რეალიზაცია არასწორ
პერიოდში ხდება. არსებობს გარკვეული დადგენი-
ლი კანონზომიერებები, რომელთა გაუთვა-
ლისწინებლობა იწვევს ზარალს. ესაა გარკვეული
ციხონური ცვალებადობები, ან სხვადასხვა
ციკლური რყევები ბაზარზე.

• **საკანონმდებლო ცვლილებების რისკი** - იგი
ითვალისწინებს ისეთ შესაძლო მომენტებს,
როგორცაა მაგალითად, ხარჯების ზრდა იძულები-
თი ხელახალი რეგისტრაციისას, შუამავლების
საკანონმდებლო სტატუსის ცვლილება და სხვ.

• **ლიკვიდობის რისკი** - აღნიშნული რისკი
განსაკუთრებით აქტუალურია მაგალითად, სა-
ქართველოში სადაც სიტუაციის ცვლილებამ
ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს ფასიანი ქალაქ-
დების ლიკვიდობის მაჩვენებლის მკვეთრი ცვლი-
ლება.

• **საკრედიტო რისკი** - ეს რისკი გულისხმობს,
რომ ემიტენტს შეიძლება არ აღმოაჩნდეს სა-
შუალება, დაფაროს თავის თავზე აღებული
ვალდებულებები.

• **ინფლაციური რისკი** - იგულისხმება ინვეს-
ტორის მიერ მიღებული მოგების გაუფასურების
შესაძლებლობა, ქვეყანაში ინფლაციური პრო-
ცენტების გაძლიერებასთან ერთად. ცნობილი
ფაქტია, რომ სათანადო დონის ინფლაცია ანგრევს
ფასიანი ქალაქდების ბაზარს.

• **პროცენტული რისკი** - რომელიც გამო-
წვეულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების
შესაძლო ცვლილებით.

• **პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური
რისკი** - ჩნდება, როდესაც თანხების დაბანდება
ხდება ისეთი ქვეყნის ფასიან ქალაქდებში, სადაც
არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური
სიტუაციაა. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს პო-
ლიტიკური რისკსაც, როდესაც იცვლება ქვეყანაში
პოლიტიკური რეჟიმი.

• **რეგიონალური რისკი** - ეს რისკი განსა-
კუთრებით ახასიათებს ე.წ. მონოპროდუქტიულ
რეგიონებს. მაგალითად, როდესაც 80-იან წლებში
ნავთობზე ფასების ცვლილების გამო ტიხასის და
ოკლახომას შტატებში გაჩნდა სერიოზული
ეკონომიკური კრიზისი, რამდენიმე ადგილობრივი
ბანკი გაკოტრდა, ხოლო სხვა ინვესტორებმა დიდი
ზარალი ნახეს. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ

ორინტირება რომელიმე ერთ კონკრეტულ
დარგზე, თუნდაც ძლიერ მომგებიანზე საკმაოდ
სარისკოა.

• **დარგობრივი რისკი** - ეს რისკი დაკავ-
შირებულია რომელიმე გარკვეული დარგის სპე-
ციფიკურობასთან. ამ რისკის ხარისხის მიხედვით
დარგები ზოგადად შეიძლება დაყოს შემდეგ
ჯგუფებად: ძლიერ დამოკიდებულები ციკლურ
რყევებზე, სტაბილურად მომუშავეებზე, სწრაფად
მზარდებზე და სხვ. ამ ფაქტორის სწორად გათვლა,
ხშირად, წარმატების ერთ-ერთი მთავარი
საწინდარია.

• **კონკრეტულ სანარმოსთან დაკავშირებული
რისკი** - ეს რისკი გარკვეულწილად შვება დარგო-
ბრივ რისკს. უზარალოდ ამ რისკის ხასიათის თავისი
ცვლილებები შეაქვს კონკრეტული ფირმის ციკლის
ხასიათს, რაიმე კონკრეტულ სიტუაციაში. მაგა-
ლითად, სხვანაირი რისკი ახასიათებს სანარმოს,
რომელიც მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს არა
ზრდას, არამედ ძლიერ სპეციალიზაციას გარ-
კვეულ სფეროში და რაღაც კონკრეტულ ნიშებზე
პოზიციების გამყარებას, ვიდრე კომპანიას,
რომელიც ახალი შექმნილია და მისი საქმიანობა
აგრესიულ ხასიათს ატარებს.

• **სავალუტო რისკი**, ანუ რისკი დაკავში-
რებული ვალუტების კურსის ცვლილებასთან.

რაც უფრო მაღალია რისკების დონე ფასიანი
ქალაქდების ბაზარზე, მით უფრო მაღალია
მოთხოვნილებები პორტფელის მართვის მიმართ.
ამ დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია
მონიტორინგის პროცესი, ანუ საფონდო ბაზრის
და სხვადასხვა ფასიანი ქალაქდების მდგომარეობის
უნყვეტი ანალიზი. მონიტორინგის
საბოლოო მიზანია ისეთი ფასიანი ქალაქდების
გამოვლენა, რომლებიც აკმაყოფილებენ კონკრე-
ტული პორტფელის მოთხოვნილებებს. ფასიანი
ქალაქდების პორტფელის მართვა შეიძლება
ხორციელდებოდეს როგორც აქტიური, ისე
პასიური მეთოდით.

როდესაც ხდება პორტფელის მართვა აქტიუ-
რი მეთოდის გამოყენებით, საჭიროა, საკმაოდ
სწრაფად მოიძებნოს და შესყიდულ იქნეს მაქსი-
მალურად ეფექტური ფასიანი ქალაქდები
არსებული მომგებისათვის. ასევე ოპერატიულად
უნდა ხდებოდეს ნაკლებად შემოსავლიანი აქტი-
ვებისგან განთავისუფლება. ეს საქმიანობა მოი-
თხოვს მუდმივ პროგნოზირებას, საჭიროა
უნყვეტი ზრუნვა, რომ არ შემცირდეს პორტფელის
ღირებულება. ამისთვის მუდმივად უნდა ხდებ-
ოდეს პორტფელის ფასის შესაძლო ცვლი-
ლებების პროგნოზირება და გათვლა, ახალი
ფასიანი ქალაქდების შესყიდვისა და ძველების
გაყიდვის მომენტების გათვალისწინებით. ამ
პროცესების დროს აუცილებელია იმ დანახარ-
ჯების გათვალისწინება, რომლებსაც ადგილი
ექნება ფასიანი ქალაქდების პორტფელის შემა-
დგენლობის ცვლილებისას.

რაც შეეხება პორტფელის პასიური მართვის
მეთოდს, იგი გულისხმობს კარგად დივერსიფი-
ცირებული პორტფელის ფორმირებას, რომელიც
გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე. ასეთი
მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, რო-
დესაც ბაზარი გაჯერებულია მაღალხარისხიანი
ფასიანი ქალაქდებით. ეს მეთოდი ასევე მოითხოვს
სტაბილური სიტუაციის არსებობას, ვინაიდან,
მაგალითად, ინფლაციის არსებობა ასეთ მეთოდს
საკმაოდ არაეფექტურს ხდის.

ფასიანი ქალაქდების პორტფელის მართვა
შეიძლება ხორციელდებოდეს ტრადიციული ან/
და თანამედროვე სტრატეგიის გამოყენებით.
მათან რომელიმეს გამოყენება დამოკიდებულია
გამოცდილებაზე და საბანკო დაწესებულების
სიძლიერეზე. ასე, მაგალითად, შედარებით მცირე
ფურსებისა და გამოცდილების პირობებში
უფრო მიზანშეწონილია პირველი სტრატეგიის
გამოყენება. ამ დროს ხდება პორტფელის ფორ-
მირება საკმაოდ დივერსიფიცირებულად და
ძირითადად ცნობილი კომპანიების ფასიანი
ქალაქდებით იმ იმედზე, რომ მათი ფინანსური
მდგომარეობა არ შეიცვლება.

გარკვეული დროის შემდეგ უკვე სასურველია
თანდათანობით გადასვლა შედარებით უფრო
რთულ თანამედროვე სტრატეგიაზე, რომლის
დროსაც ხდება მთელი რიგი მათემატიკური და
სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. არსი
ასეთი სტრატეგიისა და მდგომარეობა იმაში, რომ
ხდება კავშირების დადგენა რისკსა და შემო-
სავლებს შორის. ეს სტრატეგია გულისხმობს
საკმაოდ რისკიანი პორტფელის ფორმირებას
საკმაოდ მაღალი მოგების მიღების მიზნით.

სამწ უხაროდ, ფასიანი ქალაქდების ბაზარი
საქართველოში მაინდამაინც დიდი აქტიურობით
არ გამოირჩევა, რაც საშუალებას არ აძლევს
ქართულ კომერციულ ბანკებს მიიღონ საკმარისი
რაოდენობით შემოსავლები ბაზარზე განხორ-
ციელებული ოპერაციების მეშვეობით. ფაქტიუ-
რად, ფასიანი ქალაქდების ბაზარზე კომერციული
ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციების
უმეტესი ნილი ხორციელდება სახელმწიფო
ფასიან ქალაქდებთან, თანაც უპირატესად
საკმაოდ მოკლებულიანებთან. უახლოეს პერიოდში
თუ ქვეყანაში მოხდება გარკვეული დადებითი
ცვრები და ზოგადად ეკონომიკური სიტუაციის
სტაბილიზება, ქართული კომერციული ბანკები
მოახდენენ ამ მიმართულებით ოპერაციების
რაოდენობის და ხარისხის გაზრდას, რაც მათთვის
დამატებითი შემოსავლის საკმაოდ სერიოზული
წყარო შეიძლება გახდეს.

საქართველოში საბანკო საქმე ჯერ კიდევ XIX
საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ილია
ჭავჭავაძის თაოსნობით სათავე დასაფუძნდა
საქველამაშელო ბანკი თბილისში უკვე 1875 წელს
დაარსდა. ცნობილია, რომ ბანკი ყველანაირად
ცდილობდა ეროვნული საქმიანობის ხელშეწყობას

და ამისთვის თავის მოგებას არ იშურებდა. იგი
ხშირად ეხმარებოდა მინათმოქმედთა საერთო
საქართველოს, ქართული კულტურის ამა თუ იმ
სფეროს და სხვ. საქართველოს საბანკო სისტემა
უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესოა და საწინამდებ-
ლო იქნებოდა მთელს რეგიონში, მაგრამ, სამწუხაროდ,
გასაბჭოების შემდგომ ქვეყანაში დაიკარგა ის
ტრადიციები და გამოცდილება, რაც მას გააჩნდა
ამ სფეროში. 90-იან წლებში საქართველოს
დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად
დაიწყო საკუთარი საბანკო სისტემის ფორმირება.

საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორ-
მაციის პროცესი დაიწყო 1991 წლიდან. ეტა-
პობრივად შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და
ნორმატიული ბაზა. ჩამოყალიბდა ორიარუსიანი
საბანკო სისტემა, რომელიც შედგებოდა ერთი
მხრივ, ეროვნული ბანკისაგან და მეორე მხრივ, კი
კომერციული ბანკებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული
ბანკისა და სახელმწიფო კომერციული ბანკების
გარდა ქვეყანაში მოქმედებდნენ კომერციული
ბანკები. არასრულყოფილი საბანკო კანონმდე-
ბლობის, ბანკების ლიცენზირების სუსტი ადმი-
ნისტორებისა და უმთავრესად, საწესდებო კაპი-
ტალის მინიმალური ოდენობის გამო ქვეყანაში
სწრაფად დაიწყო ზრდა კომერციული ბანკების
რიცხვმა. 1994 წლის დასაწყისში საქართველოში
მოქმედებდა 229 კომერციული ბანკი. ბუნებრივია,
კომერციული ბანკების სიმრავლე საბანკო
სისტემის არამდგრადობის მაჩვენებელი გახლდათ.
დღის წესრიგში დადგა საქართველოს საბანკო
სისტემის რეფორმირების საკითხი, რომელიც
საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო
ბანკის, ევრობანკის და სხვა საერთაშორისო
საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით დაიწყო.
ერთ-ერთ პირველ რიგის გადასაწყვეტ საკითხად
დაისვა მაშინ არსებული სამსაფეხურიანი საბანკო
სისტემიდან: ეროვნული ბანკი - სახელმწიფო-
კომერციული ბანკები - კომერციული ბანკები;
ორსაფეხურიანი სისტემაზე: ეროვნული ბანკი -
კომერციული ბანკები გადასვლის საკითხი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია
ნებისმიერი სანარმოსათვის, რომელიც საბაზრო
ეკონომიკის პირობებში მუშაობს, ერთ-ერთ
უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, ვინაიდან ამის
გარეშე შეუძლებელია მოგების მიღება. საბანკო
საქმე და კონკრეტული კომერციული ბანკების
საქმიანობაც რა თქმა უნდა არ წარმოადგენს
გამონაკლისს. ნებისმიერი კომერციული ბანკის
პოლიტიკის მიზანია კლიენტურის მოზიდვა,
თავისი მომსახურების რეალიზაციის მოცულობის
ზრდა, ბაზარზე დამკვიდრება და საბოლოო
ჯამში საკუთარი მოგების გაზრდა. ამ მიზნის მიღ-
წევას ემსახურება სწორედ საბანკო საქმეები.

საწყის ეტაპზე ბანკები მარკეტინგს განი-
ხილავდნენ, როგორც კლიენტების მოზიდვის
საშუალებას. უკანასკნელ პერიოდში კი ბანკებმა

შექმნეს საკუთარი მარკეტინგული სამსახურები, რომლებიც ინფორმაციის შეკრებითა და დამუშავებით არიან დაკავებული. მზარდმა კონკურენტებმა და ბანკებსა და მათ კლიენტურას შორის ურთიერთობების ცვლილებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ცვლილებები საბანკო მარკეტინგის შინაარსობრივ და მიზნობრივ მხარეში. დღემდე პერიოდთან შედარებით, როდესაც ბანკები ორიენტირებული იყო საკუთარ პროდუქტზე, ახლა ხდება კლიენტურის რეალურ მოთხოვნილებებზე მორგება, რისთვისაც მიმდინარეობს ბაზრის გულდასმით შესწავლა.

ბანკებმა ერთობაშია პრეკლებმა დაიწყეს მარკეტინგის ფართოდ გამოყენება თავიანთ საქმიანობაში, რაც გამომწვეული იყო მთელი რიგი გარემოებებით, კერძოდ ისეთი ფაქტორებით როგორებიცაა:

- კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ბაზრებზე შეღწევა და საბანკო კონკურენტების გლობალიზაცია;
- თითქმის ყველა ქვეყანაში არასაბანკო დანებსებულებების გაჩენა და განვითარება, რომლებმაც დიდი კონკურენცია გაუწიეს არსებულ ბანკებს;
- საბანკო მომსახურების სექტორის მოცულობის ზრდა;
- კონკურენტების ზრდა შიდა საბანკო ბაზარზე.

როგორც წესი ბანკის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ბაზრის შესწავლას, ამისათვის აგრეგებს და ანალიზებს ინფორმაციას კონკურენტებზე, სტატისტიკურ მონაცემებს და სხვ. რა თქმა უნდა მონაცემების დამუშავების ხარისხი განსხვავდება ბანკის საქმიანობის მასშტაბების მიხედვით. მარკეტინგული კვლევების შედეგების გათვალისწინება ხდება ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, როგორცაა საწესდებო კაპიტალის გაზრდა, ახალი ფილიალების ქსელის ამოქმედება ან სხვ. საბანკო მარკეტინგის ძირითად მიზანს წარმოადგენს საბანკო მომსახურების გადაადგილების ოპტიმიზირება სიჩქარე მთელ გზაზე (საბანკო დანებსებულებიდან კლიენტამდე). ოპტიმიზირება სიჩქარის ქვეშ იგულისხმება ისეთი სიჩქარე, როდესაც ხდება მაქსიმალურად მომგებიანი ბრუნვა თანხებისა და იმავდროულად მინიმალური დანახარჯები განულები ფულადი სახსრების შენახვაზე, ბანკის კლიენტების მომსახურების ხარისხის დანევის გარეშე. მარკეტინგის პროცესის განმავლობაში ხდება კლიენტის მოთხოვნილებების შესწავლა.

ჩვეულებრივ, თუ ბანკი საკმარის დიდი მამინ ბაზრის კვლევითა და პროგნოზირებით დაკავებულია სპეციალური განყოფილება, ან დაქირავებული მარკეტინგული სამსახური. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ხდება სტრატეგიის შემუშავება მომავალი ბაზრის სეგმენტაციისათვის.

ჩვეულებრივ, მარკეტინგი იწყება კონცეფ-

ციის შემუშავებით. კონცეფცია ახასიათებს არა ბანკის საქმიანობებს, არამედ მის მიზანს, იდეოლოგიას, სტრატეგიას. კონცეფციის შერჩევის შემდეგ კონკრეტული ვითარების (შიდა და გარე ფაქტორების) გათვალისწინებით უკვე შეიძლება მარკეტინგის რაიმე მეთოდების გამოყენება და დანერგვა. მარკეტინგის კონცეფციის შემუშავება ხდება კონკრეტული ბანკის სიდიდის, საქმიანობის სპეციფიკის, დამფუძნებლების ინტერესების და სხვ. გათვალისწინებით.

ოთხმოციან წლებში დასავლეთში გაჩნდა სტრატეგიული მარკეტინგის ცნება, რომელიც გულისხმობს აქცენტების გადანაცვლებას კლიენტადან და საქონლიდან - არსებულ გარემოზე. თანამედროვე პირობებში ეს მიმართულება უკვე საკმარისი აღარაა. აუცილებელი ხდება კონკურენტული გარემოს, სამთავრობო პოლიტიკის და რეგულირების და მსგავსი ფაქტორების საკმაოდ კარგი შესწავლა.

საბანკო მომსახურების გასაღების პრობლემები სპეციფიკურია. მისი გასაღება შესაძლებელია შემდეგი ხარებით:

1. საკუთარი გასაღების არხები: სათაო განყოფილება, ფილიალები, განყოფილებები;
 2. არასაკუთარი არხები: გასაღება შვილობილი ფირმების დაარსების მეშვეობით, სხვა ბანკების კაპიტალიზაციის მიხედვით მონაწილეობის მეშვეობით და სხვ.
- საბანკო პროდუქტი ესაა მისი მომსახურების ფორმების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს აქტიურ და პასიურ ოპერაციებს. საბანკო მომსახურების ძირითადი სახეებია:
- სავალუტო ოპერაციები: ვალუტის ყიდვა-გაყიდვა გარკვეული მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ოპერაციებს მეტწილად ძლიერი ბანკები ახორციელებენ, ვინაიდან ისინი დაკავშირებულია სავალუტო რისკთან;
 - ვექსელების აღრიცხვა და კრედიტების გაცემა: ვექსელების აღრიცხვის დროს ბანკი ფაქტიურად ყიდულობს სავალაულებულებებს, რითაც ესმარება ფირმებს ფულადი სახსრების სწრაფ მობილიზაციაში;
 - დეპოზიტები: დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით ბანკები ქმნიან სხვადასხვა სახის დეპოზიტებს;
 - ძვირფასეულობის შენახვა: ამ სახის მომსახურებას ბანკები სთავაზობენ თავიანთ კლიენტებს სეიფების არენდის სახით. კლიენტებს შეუძლიათ სეიფებში ოქროულობის, ფასიანი ქაღალდების და სხვ. შენახვა;
 - სახელმწიფოსთვის კრედიტის გაცემა: ანუ სხვადასხვა სახის სახელმწიფო ობლიგაციების შექმნა;

ანაბრები მოთხოვნამდე: წარმოადგენს ბანკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროდუქტს. მისი რეგულირება ბანკის კლიენტებს სა-

შუალევა ეძლევათ გადაიხადონ საქონლის ან განკუთვნილი მომსახურების საფასური და ისინი ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა განაღდას;

• სამომხმარებლო კრედიტი: ამ სახის მომსახურებამ ფართო გავრცელება ჰპოვა თავიდან ამერიკაში შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამ მომსახურებით ძირითადად ფიზიკური პირები სარგებლობენ;

• საკონსულტაციო მომსახურება: ბანკი, როგორც წესი, ტრადიციულად აძლევს თავის კლიენტებს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებზე (ინვესტიციების განხორციელება, საგადასახადო დეკლარაციის მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვა და სხვ.). აგრეთვე იურიდიული პირებისთვის ბანკმა შეიძლება შეაფასოს მათი მომავალი ბიზნეს პარტნიორების კრედიტუნარიანობა;

• სამომხმარებლო მომსახურების განწევა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებში: ბანკებმა კლიენტის დავალებით შეიძლება განახორციელონ ოპერაციები დაკავშირებული ფასიან ქაღალდებთან. ეს შეიძლება იყოს აქციების ან ობლიგაციების შესყიდვა, რომელსაც კლიენტი განახორციელებს ბროკერის გარეშე ბაჟის დახმარებით;

• ბანკის ფინანსური მომსახურება: აქ იგულისხმება ისეთი პოპულარული მომსახურების სახეები, როგორიცაა ლიზინგი, ფაქტორინგი, სატრასტო ოპერაციები და სხვ.

როგორც ვხედავთ, კომერციული ბანკის მიერ განწეული მომსახურების სახეები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ გააჩნია საკუთარი სპეციფიკური ხასიათი:

1. საბანკო მომსახურების აბსტრაქტული ხასიათი;
2. განულები მომსახურების ძლიერი დამოკიდებულება ამ მომსახურების გამწვეთა კვალიფიკაციაზე.

გარკვეული სახის მომსახურება, როგორც წესი, მომგებიანი და აქტუალურია მხოლოდ კლიენტთა გარკვეული ჯგუფისათვის. კლიენტთა სხვა ჯგუფისათვის კი ეს მომსახურება შეიძლება ან ზედმეტად ძვირი იყოს, ან არსებულ მომენტში სრულიად გამოუყენებელი. კლიენტების ის ჯგუფი, რომელთაც გამოიზნულია კონკრეტული მომსახურება, წარმოადგენს ბაზრის სამიზნე სეგმენტს. ადვილი მისახვედრია, რომ ერთი კლიენტი შეიძლება იყოს რამდენიმე სეგმენტში. მარკეტინგული სამსახურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია მიზნობრივი სეგმენტების გამოკვლევა და მათი შესწავლა.

არსებობს ორი სახის მარკეტინგული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ხდება ბანკის კლიენტების სეგმენტებად დაყოფა. კომერციული ბანკი შეიძლება აწვიდეს პროდუქტისად მომხმარებელმდე, ანუ მის ხელში არსებული ინფორმაციის

განალიზების შედეგად დაადგინოს თუ ვის ენაჭიროება მისი კონკრეტულად ეს პროდუქტი. არსებობს მეორე ხერხიც, როდესაც კლიენტზე ერთი სახის მომსახურების განწევისას ხდება სხვა სახის მომსახურების შეთავაზებაც. ამ დროს ბანკირი თავის თავს უსვამს კითხვას, თუ კიდევ რა სახის მომსახურება შეიძლება აინტერესებდეს აღნიშნულ კლიენტს, ანუ რომელ სეგმენტს ეკუთვნის იგი.

გასაგებია, რომ ამა თუ იმ საბანკო პროდუქტის წარმატებული რეალიზებისათვის საჭიროა კლიენტების სწორი დიფერენცირება. ამ დროს ხდება სწორედ კონკრეტული პროდუქტის პოტენციური მომხმარებლების გამოკვლევა. სხვადასხვა კლიენტებს სხვადასხვანაირი გემოვნება და მოთხოვნილებები გააჩნიათ, ამიტომ საკმაოდ რთულია სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.

სწორედ ამიტომ გამოიყენება ბაზრის სეგმენტაციის მეთოდი. როგორც სათაურიდან შეიძლება მივხედოთ ეს მეთოდი გულისხმობს არაერთ-გვაროვანი მსხვილი ბაზრის ერთგვაროვან, უფრო მცირე სეგმენტებად დაყოფას. ეს საშუალებას იძლევა დაჯგუფდეს კლიენტები მსგავსი ინტერესებით და მოთხოვნილებებით.

ბაზრის სეგმენტაცია საშუალებას იძლევა:

- ბაზრის სამიზნე სეგმენტის უფრო ხარისხიან დაყოფას, რაც მნიშვნელოვანია კლიენტთა მოთხოვნილებების ანალიზისათვის;

- გამოიკვეთოს თვით ბანკის სუსტი და ძლიერი მხარეები, აღნიშნული სეგმენტის თვისებისათვის;
- უფრო ზუსტად ჩამოყალიბდეს მიზნები და შემუშავდეს მარკეტინგული სტრატეგია;

სეგმენტაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით. გეოგრაფიული პრინციპის გამოყენებით: ამ დროს ბანკის კლიენტები ჯგუფდება რეგიონის ან ტერიტორიული ერთეულის მიკუთვნების მიხედვით; ფსიქოლოგიური ფაქტორის გამოყენებით: ამ დროს შესანიშნავება მომხმარებლის ცხოვრების წესი, სხვადასხვა ეკონომიკის რეაქციაზე რაიმე კონკრეტულ რეკლამის მიმართ, ასევე სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება (საბანკო პროდუქტის შექმნის მიზნებით, საბანკო პროდუქტის შექმნის სიხშირე და ა.შ.); დემოგრაფიული პრინციპის მიხედვით: ამ დროს ხდება კლიენტების სქესის და ასაკის, ოჯახის ასაკობრივი სტრუქტურის, განათლების დონისა და შემოსავლის დონის გათვალისწინება. როგორც წესი, ბანკები ჩვეულებრივ კლიენტებს მარტივი პრინციპის მიხედვით შედგენაირად ყოფენ: ა) მდიდარი კლიენტები; ბ) მაღალი შემოსავლის მქონე კლიენტები; გ) სპეციალისტები; დ) მენარმები; ე) მუშა-მოსამსახურებელი; ვ) სტუდენტები; და ახალ-გაზრდები; ზ) პენსიონერები.

საკუთარი კლიენტების საკმაოდ საინტერესო კლასიფიკაციის მეთოდი არსებობს საფრანგეთის ბანკებში: ა) ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ

დღევანდელი დღით; ბ) ავანტიურისტები; გ) თავიანთ საქმიანობაში პასიური ხალხი, ვინც პატივს სცემს მატერიალურ ფასეულობებს; დ) პიროვნებები, რომლებსაც უყვარს უკრავადღების ცენტრში ყოფნა.

ასაკის მიხედვით კლიენტების დაჯგუფებისას ხდება იმ პრინციპის გათვალისწინება, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე გადის რამდენიმე სტადიას, რომელთა ცვალებადობისას უჩნდება გარკვეული მოთხოვნილებები, რაც ერთნაირი ციკლის პირობებში მყოფი კლიენტების დაჯგუფების საშუალებას იძლევა. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგნაირი დაყოფა:

ახალგაზრდები (16-22 წელი): აქ შედის სტუდენტები, ხალხი რომელიც პირველად ეწყობა სამუშაოზე ან/და ვმზადდება ოჯახის შესაქმნელად; **ახალგაზრდები, რომლებმაც ახალახალი შექმნეს ოჯახი (25-30 წელი):** ადამიანები, რომლებიც ახლა იწყებენ გრძელვადიანი მოხმარების საქონლის შექმნას;

„სტაჟიანი“ ოჯახები (25-45 წელი): ადამიანები უკვე არსებული კარიერით, რომელთა ძირითადი მიზნებია საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ბავშვებისათვის სითრიალო განათლების უზრუნველყოფა და სხვ;

ასაკი შესული ხალხი (40-55 წელი): ამ ხალხს უკვე საკმარის დიდი შემოსავალი გააჩნიათ და მათი საზრუნავი საპენსიო უზრუნველყოფა ხდება;

ახლო მომავალში პენსიაზე გასასვლელი ხალხი (55-70 წელი): ვისაც გააჩნია და-გროვილი კაპიტალი და მათი საზრუნავი მისი შენარჩუნებაა.

კომერციულ ბანკს საკმაოდ ადვილად შეუძლია ასაკის მიხედვით კლიენტების სეგმენტაცია, ვინაიდან ანგარიშის გახსნისას ხდება ამ ანკეტირება. ამ მონაცემების დამუშავების შემდეგ უკვე შეიძლება კონკრეტულ ჯგუფებზე კონკრეტული საბანკო პროდუქტების „მიზნა“. მაგალითად:

ახალგაზრდები: ამ ჯგუფის წევრებისთვის დამახასიათებელია მობილურობა, ხშირი მგზავრობები, ფულის გადაორცილებები, მოკლევადიანი სესხები, ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურება.

ახლადილოჯახებულები: ამ ჯგუფის წარმო-მადგენლები საჭიროებენ ერთობლივ ანგარიშებს, საკრედიტო ბარათებს, სხვადასხვა სახის დანაშოგების ფორმირებას (მაგალითად, სახლის შესყიდვის მიზნით).

„სტაჟიანი“ ოჯახები: ეს ჯგუფი ხშირად სარგებლობს სხვადასხვა საომარბრობლო კრედიტებით; ისინი აგრეთვე საჭიროებენ სხვადასხვა კონსულტაციებს (ინვესტიციებზე, დანაშოგის ფორმირებაზე, დაზღვევაზე და სხვ).

ახლო მომავალში პენსიაზე გასასვლელი ხალხი: ამ ჯგუფის წევრები ბანკის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ კლიენტებს წარმოადგენენ.

ისინი საკმაოდ სოლიდურ თანხებს ინახავენ საბანკო ანგარიშებზე, ამასთან საჭიროებენ პერსონალურ მომსახურებასა და კონსულტაციებს კაპიტალის განკარგავსათან დაკავშირებულ საკითხებზე.

სეგმენტაცია და კლიენტების დიფერენცირების სხვადასხვა ხერხები საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს გამოავლინონ ახალი ბაზრები თავისი მომსახურების გასაღწევისათვის, ანუ ბანკი გამოავლენს ენ. „ნიშებს“, რომელთა ათვისებითაც შეიძლება გაიზარდოს ბანკის მიერ გასალეხული მომსახურების მოცულობა, საბოლოო ჯამში კი საქმიანობის ძირითადი მიზანი - მოგება.

ბანკის საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა მუშაობა იურიდიულ პირებთან. აქ საჭიროა უფრო მეტად ინიციტირებული მიდგომა, ვინაიდან მასობრივი მეთოდებით მუშაობა ამ შემთხვევაში საკმაოდ არაეფექტურია. მიუხედავად ამისა სეგმენტაცია აქაც აუცილებელია და იგი მინიჭ გვეხმარება საბოლოო მიზნის მიღწევაში. ერთ-ერთი პირველი რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს არის კომპანიების დიფერენცირება მათი სიდიდის მიხედვით (ეს შეიძლება გაკეთდეს საჭირო ბრუნვის შესწავლით, დასაქმებულთა რაოდენობის შესწავლით, აქტივების მოცულობის განხილვის და სხვ.). ამის მიხედვით ფორმები იყოფიან დიდ, საშუალო და მცირე ფორმებად. განსაკუთრებით საინტერესოა ბანკისთვის კონკრეტული ფორმის საქმიანობის სახე. მაგალითად, მცირე ბრუნვა და პერსონალის დიდი რაოდენობაა ფირმაში, თუ პირიქით (მცირე პერსონალი მაგრამ საკმაოდ დიდი მოცულობის ბრუნვა). ახლა განვიხილოთ თუ კონკრეტული მოცულობის ფირმისგან რა სახის მომსახურებაზე შეიძლება ჰქონდეს ინტერესი იმედი ბანკს:

მცირე ფირმები: ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ხშირად ექმნებათ საჭიროება „სასტარტო“ კრედიტებში აგრეთვე შეიძლება დასჭირდეს დახმარება უძრავი ქონების მართვაში და სხვა-დასხვა სახის საქონლის შექმნა სამომხმარებლო კრედიტის მეშვეობით.

საშუალო ფირმები: ხშირი გადარიცხვები, საკრედიტო ბარათები მომსახურე პერსონალი-სათვის, სალიზინგო და ფაქტორინგული ოპერაციები, საშუალო და გრძელვადიანი ხანგრძლივობის კრედიტები ძირითადი კაპიტალის შესაცხებად.

მსხვილი ფირმები: შრომის ანაზღაურებ-ბასთან დაკავშირებული მომსახურება, ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული მომსახურება, გრძელვადიანი კრედიტებით მომსახურება, ოპერაციული სხვადასხვა ფასიან ქალაქ-დებთან.

საინტერესო მომენტია ის ფაქტი, რომ ფირმის პერსონალი ერთდროულად ფიზიკურ პირებსაც წარმოადგენს და მათთან სწორი მუშაობა

შეიძლება ბანკის მრავალი პროდუქტის გასაღების სახინდარი გახდეს, ვინაიდან მათ, როგორც ფიზიკურ პირებს, გააჩნიათ გარკვეული მოთხოვნილებები.

სეგმენტაცია, რომელზეც ბანკი დაინყებს თავისი ახალი მომსახურების დანერგვას საკმაოდ კარგად უნდა იცოს შესწავლილი, რადგან მან უნდა გაამართლოს ბანკის დიდი დანახარჯები განუყოფელი ამ სამუშაოზე. მაგალითად, თუ არჩეული სეგმენტი არ იქნება საკმარისად დიდი მაშინ ბანკი უბრალოდ ვერ ამოიღებს დახარჯულ თანხებს. ამ და მრავალი ასეთი მიზეზების გამო ბანკი სეგმენტის ბრძოლაში მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს (ბაზრის მოცულობა, მისი ერთგვაროვნების ხარისხი, კონკურენტის დონე, ახალი საბანკო პროდუქტის დანერგვის შესაძლებლობა და სხვ.). მარკეტინგული სამსახურები აფასებენ კონკურენტის ხარისხს და ამის საფუძველზე იცავენ გადამყვნილებას თუ არა ფორმა აღნიშნულ სიტუაციაში, ახალი მომსახურების სახის შეტანა ბაზარზე, თუ უკვე ტრადიციული მომსახურებით ბრძოლა კონკურენტებთან.

მას შემდეგ, რაც ბაზარის სტრუქტურა შესწავლილია, ბანკმა უნდა შეიმუშაოს მარკეტინგის ესა თუ ის სტრატეგია. კონკურენტული მარკეტინგი გულისხმობს ერთ ბაზრის სეგმენტზე კონცენტრირებას. ამ დროს ხდება კონცენტრირება მომხმარებლების ერთი ჯგუფის მომსახურებაზე. ამ სტრატეგიას რამდენი დადებითი მხარე გააჩნია: აღნიშნული სეგმენტის საკმაოდ მაღალ დონეზე ცოდნა და გარკვეული უპირატესობა ამის გამო კონკურენტებთან შედარებით (საუკეთესო სეგმენტს ამ შემთხვევაში ბანკი საკმაოდ ძირფასიანად შეისწავლის), სარეკლამო კომპანიის უფრო მეტად მიზანმიმართული წარმოება, შემოსავლების შედარებით სტაბილურობა. რა თქმა უნდა აღნიშნულ სტრატეგიას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. თავდაპირველ ეტაპზე კონკურენტებთან პრობლემები სეგმენტზე დამკვირვების პერიოდში. კლიენტებთან შედარებით კონტაქტების ქონის აუცილებლობა რათა დროულად მოხდეს მათი მზარდი მოთხოვნილებების შესახვედრად ახალი მომსახურების სახეების შეთავაზება.

არსებობს სხვა ვარიანტიც, მაგალითად, როდესაც ბანკი კონცენტრირდება იმაზე, რომ დააკმაყოფილოს კლიენტების ყველა ჯგუფის ერთი და იგივე სახის მოთხოვნილება. ეს დამახასიათებელია ახლად შექმნილი ბანკებისათვის, რომლებიც ცდილობენ გამოარჩიონ თავი უამრავი კონკურენტებისაგან. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია საკონტაქტაციის სფეროს სწორი შერჩევა. ეს უნდა იყოს მომსახურება, რომელიც დაინტერესებს კლიენტების ფართო რაოდენობას, ამასთან ამ დარგში აღნიშნული ბანკი უნდა ფლობდეს გარკვეულ უპირატესობას კონკურენტებთან შედარებით. ასეთი დამგომის

ძლიერი მხარეა, რომ ხდება საკმაოდ მაღალ დონეზე შესწავლა კლიენტების დამოკიდებუ-ლებისა კონკრეტული მომსახურების სახეზე. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, რომ ამ კონკრეტულ საბანკო პროდუქტზე განუყოფელი მომსახურება აღნიშნულ ბანკში უფრო უკეთესი იქნება ვიდრე კონკურენტებთან. ასეთი მიდგომის პრობლე-მებიანდ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი გარემო-ებები: თავდაპირველ ეტაპზე საკუთარი პროდუქტის განსხვავებულობა შეთავაზება კლიენტებისათვის, ვიდრე ამას კონკურენტები აკეთებენ (რათა მოხდეს კლიენტების გადახრება); ბანკის სერვისში მუდმივი ცვლილებების შეტანისა და საკუთარი მომსახურების პაკეტის სრულყოფის საჭიროება; ბაზრის კონიუნქტურაზე საკმაოდ ძლიერი დამოკიდებულება; საკმაოდ დიდი შესაძლო დანახარჯები რეკლამაზე, ვინაიდან მან მოსახლეობის ფართო ფენები უნდა მოიცავს.

დიფერენცირებულ მარკეტინგის გულის-ხმობს ბანკის საქმიანობის ორიენტირებას ორ ან მეტ ბაზრის სეგმენტზე. ამ მეთოდით მუშაობისას ბანკი ვაცოლებით სწრაფად ერგებს სიტუაციის ცვლილებას ბაზარზე. რომელიც სეგმენტზე პრობლემების შემთხვევაში ბანკს შეუძლია შედარებით სწრაფად გადაერთოს სხვა სეგმენტზე. უაყოფითი მომენტებიანდ შეიძლება აღინიშნოს, საკმაოდ დიდი დანახარჯების არსებობა მარკეტინგულ საქმიანობაზე და რთული ბრძოლა კონკურენტებთან, რომლებიც ამ სეგმენტებზე სპეციალური ზიგულებად მუშაობენ.

საბანკო პროდუქტის კლიენტის იმედი იმედი, რომ ამ პროდუქტს შეუძლია დააკმაყოფილოს მისი ესა თუ ის მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე, ბანკისათვის უმნიშვნელოვანესია თავისი რომელიმე პროდუქტის შექმნისას მისი ისეთი თვისებებით დატვირთვა, რომ მან დააკმაყოფილოს კლიენტის გარკვეული მოთხოვნილებები. პირობითად შეიძლება ვთქვათ, რომ საბანკო პროდუქტი თავისი არსებობის ციკლის განმავლობაში გაიცვლის ოთხ სტადიას: 1) საბანკო პროდუქტის დანერგვა; 2) მისი გასაღების მოცულობის ზრდა; 3) მასზე მოთხოვნილების მაქსიმალური მოცულობა; 4) დაცემის სტადია. კომერციული ბანკი დგას საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე. თავისი საქმიანობის განმავლობაში მან არა მარტო უნდა მოახდინოს არსებული საბანკო პროდუქტების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, არამედ შეიმუშაოს სწორი თანაფარდობა ახალ და ძველ პროდუქტებს შორის. ამის სწორად განხორციელება საშუალებას მისცემს ბანკს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებზე.

ბანკის მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავება და დანერგვა. თავდაპირველ ეტაპზე ხდება სხვადასხვა პროდუქტების განხილვა და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე ამორჩევა. შემდგომ ეტაპზე ბანკი უკვე ანალიზებს

თუ რა შესაძლო დანახარჯების განევა და რასახის მოგების მიღება იქნება შესაძლებელი ამ პროდუქტის დიფერენციალური. თავდაპირველ ეტაპზე ბანკმა შეიძლება ახალი პროდუქტი შესთავაზოს კლიენტების შეზღუდულ რიცხვს და დააკვირდეს მათ რეაქციას. თუ აღმოჩნდება, რომ ახალი საბანკო პროდუქტი ნამდვილად აკმაყოფილებს როგორც კლიენტის მოთხოვნილებებსა და ბანკის ინტერესებს, მაშინ ბანკი უკვე გაავრცელებს ამ პროდუქტს მომხმარებელთა ფართო სრეზე.

აგრეთვე უმნიშვნელოვანესი მომენტი ბანკის მიერ გატარებული ფასების პოლიტიკაა. ბანკის ხელმძღვანელობას შეიძლება შემუშავებული ჰქონდეს როგორც ძირითადი, ასევე რამდენიმე ალტერნატიული სტრატეგია ფასებთან დაკავშირებით. ეს დამოკიდებულია ბანკის სიდიდეზე, მის რეიტინგზე, მის მიერ კონტროლირებადი ბაზრის ნაწილის მოცულობაზე, კონკრეტულ ეკონომიკურ სიტუაციაზე ქვეყანაში და სხვ.

ფასების პაკეტის შემუშავებისას ბანკმა უნდა გაითვალისწინოს გასანევი ხარჯების ოდენობა და აქედან გამომდინარე, ის მინიმალური ფასები, რომლებიც აუცილებელია ბანკის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის.

კომერციული ბანკის ფასების პოლიტიკის ობიექტებია: საპროცენტო განაკვეთები, ტარიფები, საკომისიოები, პრემიები, ფასდაკლებები, ანაბარებზე მინიმალური შენატანების ოდენობა და სხვ.

ფასნარმოქმნის სწორი მარკეტინგი ბანკს კლიენტობაში და ბანკის ინტერესების თანხვედრის საშუალებას აძლევს. ფასების სტრატეგიის შემუშავება რამოდენიმე ეტაპისგან შედგება. თავდაპირველ ეტაპზე ხდება საბოლოო მიზნის განსაზღვრა. კომერციული ბანკისთვის ეს მიზანი რაღა თქმა უნდა მოგების მიღებაა. მაგრამ კონკურენტის გათვალისწინებით ამ მიზნის ჩამოყალიბება სხვანაირადაც შეიძლება. მაგალითად, მაქსიმალური მოგების მიღება ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნების პირობებში. ან შემთხვევაში ბანკი აწესებს მაქსიმალურად შესაძლებელ ფასებს მომსახურებაზე ისე, რომ არ შეიქმნას საფრთხე კონკურენტების მხრიდან.

შემდგომ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს იმ გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც შეგავლენას ახდენენ ფასნარმოქმნაზე. შინაგანი ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ დანახარჯების ოდენობა კონკრეტული მომსახურების განევაზე, საბანკო პროდუქტების ხარისხი, მომსახურების სისწრაფის ხარისხი, ბანკის იმიჯი, დამატებითი მომსახურების არსებობა და სხვ.

გარეგან ფაქტორებს განეკუთვნება რეალური და პროგნოზირებადი მოთხოვნა აღნიშნულ მასივ პროდუქტზე მოცემულ სემენტებში და მისი ელასტიურობა, ინფლაციის ოდენობა, კონკურენტის არსებობა და მისი დონე, კონკურენტების

ფასები აღნიშნულ პროდუქტზე, სახელმწიფოს მიერ საბანკო სფეროს რეგულირების კონკრეტული ასპექტები და სხვ. საბანკო ბაზარი ძლიერ ზემოქმედებას განიცდის სხვადასხვა ფაქტორებისგან. გარეგანი ფაქტორები ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება და ამიტომ მათი განხილვა უნდა მოხდეს მათი გათვალისწინების კუთხით. ამ ფაქტორების განხილვის შემდეგ ბანკი მოახდენს ანალიზს და შეიმუშავებს ფასებზე გარკვეულ პოლიტიკას.

ფასების პოლიტიკის ჩამოყალიბების შემდეგ, ბანკმა საჭიროა იზრუნოს საბანკო პროდუქტის გავრცელების მეთოდების შემუშავებაზეც. ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდია მომსახურების გასაღება ფილიალების ქსელის მეშვეობით. აქ შეიძლება გამოიყენოს უნივერსალური ფილიალები, რომლებიც ყველა ან თითქმის ყველა სახის საბანკო მომსახურებას უწევენ, და სპეციალიზირებული, რომლებიც მხოლოდ გარკვეული სახის მომსახურებას უწევენ. საკმაოდ აქტუალურია ამ დროს პლასტიკური ბარათების გავრცელება, კომპიუტერული ტერმინალიზების გამოყენება და სხვ.

მარკეტინგულ პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის ფილიალები. ბოლო დროს ნაშეყენი ბანკები მსოფლიოში ფილიალების მმართველად სულ უფრო ხშირად ნიშნავენ მარკეტინგის სპეციალისტებს. ამით ისინი უზრუნველყოფენ ბანკის ძლიერ ექსპანსიას გარკვეულ რაიონში და ამით, საბოლოო ჯამში, მოგების ზრდას. მართალია ბოლო დროს სულ უფრო იზრდება კომპიუტერის ხარისხი საბანკო სფეროში, მაგრამ საბანკო პროდუქტის გასაღების ტრადიციულ ფორმად მაინც მისი განყოფილების მეშვეობით გასაღება რჩება. ამიტომ ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფილიალის ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა. მისი შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ კონკურენცია, პოტენციური კლიენტების რაოდენობა, განლაგების მოსახერხებლობა და სხვ.

რეალური სიტუაციის გათვალისწინებით ბანკმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა გადაწყვეტილებები. მაგალითად, გარკვეულ განყოფილებებს შეიძლება ევალებოდეს დასველების დღეებში მუშაობა, რათა უზრუნველყონ კლიენტთა მოთხოვნილებები. ძირითადად ბანკი გარკვეული პროდუქტის რეალიზებას ხორციელებს პერსონალური ურთიერთობისას კლიენტსა და მენეჯერს შორის. ამ პროცესში კლიენტებმა უნდა დაარწმუნოს პოტენციური კლიენტი რითაა უკეთესი აღნიშნული ბანკის პროდუქტი. ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია და სწორედ ამიტომ 70-80-იან წლებში ინფლაციის კომერციულ ბანკებში გამოყოფილი იყო ცალკე მტატი ენ. „პერსონალური“ ბანკირებისათვის, რომლებიც პირდაპირ ეყვნენ პასუხისმგებლები კლიენტების გარკვეულ ჯგუფებთან ურთიერთობაზე, კონსულტაციების განევაზე და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია სტიმულირების სისტემა. ბანკი ყოველთვის

დაინტერესებულია, რომ პოტენციური კლიენტების თვალში ბანკმა და მისმა პროდუქტებმა იქონიოს მყარი იმიჯი. სტიმულირება ბანკი შეიძლება ახდენდეს ძირითადად სამი მიმართულებით: მომხმარებლების, თანამშრომლებისა და შუამავლების საშუალებით.

კლიენტების სტიმულირება შესაძლებელია პერსონალური ურთიერთობების მეშვეობით, კლიენტებისათვის რომელიმე სახის მომსახურების უფასოდ, ან დიდი ფასდაკლებით შეთავაზება გარკვეული დროის განმავლობაში, მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლებების დანესება, სემინარების და კონფერენციების ჩატარება გარკვეული საბანკო პროდუქტების შესახებ, კლიენტებს შორის ლატარების ჩატარება და სხვ.

ბანკის თანამშრომლების სტიმულირება გულისხმობს მათ წახალისებას მაგალითად, გარკვეული სახის მომსახურების განევაზე, წახალისებას არსებული მომსახურების სახეების განევის ხარისხის ამაღლებაზე, წახალისება ახალი კლიენტების მოზიდვაზე ბანკში, პრემიების გაცემა, დამატებითი შევებულების მიცემა და სხვ.

შუამავლების სტიმულირება შესაძლებელია ერთობლივი რეკლამის შექმნით და საუციალოური ფასდაკლებების სისტემის შეთავაზებით.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებასთან სწორი ურთიერთობების წარმოება (ანუ სწორი PR კამპანიის წარმოება). უნდა განხორციელდეს იმ რეაქციის სწორი ანალიზი და პროგნოზირება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ სუბიექტს ბანკის საქმიანობაზე. ბანკის PR კამპანიის ერთ-ერთი უმთავრესი როლია სწორად განუმარტოს საზოგადოებას ბანკის საქმიანობის პრინციპები და მათი სოციალური ორიენტირებულობა. ურთიერთობები გულისხმობს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. ასეთი სახის საქმიანობა ბანკს უსაჭიროება იმისათვის, რომ მომავალში ბანკმა შეძლოს გარკვეული დროის განმავლობაში აზრის მართვა. თვითონ PR აშშ-ში გაჩნდა დაახლოებით XIX საუკუნის დასაწყისში. ყოველწლიურად PR-ზე აქვრკავში რამდენიმე მილიარდი დოლარი იხარჯება.

მორიგი ელემენტი რეკლამა და სარეკლამო კამპანია. ბანკების მიერ გამოყენებულად ვარგისი და შესაძლო რეკლამის ფორმებია საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა რეკლამაზე განეული დიდი დანახარჯები ავტომატურად არ უზრუნველყოფს შემოსავლების და აქედან გამომდინარე, მოგების ზრდას. სარეკლამო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ახალი ბაზრების ათვისებაზე, განხორციელებული საქმიანობის მოცულობისა და ბანკის ავტორიტეტის ზრდაზე, და სხვ. ფაქტორებზე. რეკლამის ერთ-ერთი მიზანია პოტენციური და რეალური ბანკის კლიენტების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდა ბანკის და მის მიერ შეთავაზებული პროდუქტების შესახებ, თვითონ კონკრეტულ საბანკო მომსახურებაზე დადებითი

შთაბეჭდილებების შექმნა, უკვე არსებული ინტერესის შენარჩუნება ბანკის მომსახურების მიმართ, ინფორმაციის მიწოდება არსებული მომსახურების სახეების განხორციელების პირობების ცვლილების შესახებ და სხვ.

კომერციულმა ბანკმა შეიძლება გამოიყენოს რეკლამა გაზეთებსა და ჟურნალებში; რადიოთი და ტელევიზიით; სარეკლამო აზრების, ფოსტის, პრეს-რელიზების, ბიულეტენებისა და კატალოგების, ბიულეტენების და სხვადასხვა სარეკლამო ხასიათის სუვენიერების მეშვეობით; აგრეთვე მრავალი არატრადიციული სარეკლამო ხერხების გამოყენებით.

ყველა სახის რეკლამის თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე გააჩნია. გაზეთებსა და ჟურნალებში რეკლამა ხასიათდება ოპერატიულობით, კლიენტების დიდი რაოდენობის მოცვის საშუალებად და ადვილი აღქმადობით. მისი უარყოფითი მხარეებიდან შეიძლება დავასახელოთ მისი არსებობის მცირე ვადა.

ტელევიზიით განხორციელებული რეკლამა წარმოადგენს გამოსახულების, ხმის დამორაობის შერწყმას; იგი ყურადღების მიქცევის საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდება. გარეთ განთავსებული რეკლამა, ანუ ე.წ. გარე რეკლამა ხასიათდება შედარებით გრძელვადიანი შევების კოეფიციენტით, დაბალი ფასით და სხვ. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს აქ შეიძლება დავასახელოთ აუდიტორიის ანსოლიტური შემთხვევითობა.

რეკლამა რომ მაქსიმალურად ეფექტური იყოს, იგი უნდა ხორციელდებოდეს კომპლექსურად, განემარტებოდეს, და მიზნობრივად. რეკლამის მაქსიმალური ხარისხის მისაღწევად, ბანკმა უნდა შეიმუშაოს სარეკლამო კამპანიის გეგმა. ეს სარეკლამო კამპანია უნდა ითვალისწინებდეს ბანკის მარკეტინგულ სტრატეგიას, ხოლო მისი განხორციელება სასურველია სპეციალისტების მოწვევით. რეკლამის სახე დამოკიდებულია რეკლამის მიზანზე. იგი თითქმის ყოველთვის გათვალისწინებულია პოტენციური კლიენტების თვალში ბანკის იმიჯის სწორი ფორმირება.

მასტიმულირებელი რეკლამა გამოიყენება მომხმარებლების დაინტერესებისათვის. ამ რეკლამამ პოტენციურ კლიენტებს უნდა შეუქმნას გარკვეული ცოდნა კონკრეტულ საბანკო პროდუქტზე, ანუ ამ რეკლამამ ხელი უნდა შეუწყოს და ბიძგი მისცეს გადამწყვეტილების მიღებას ამ კონკრეტულ საბანკო პროდუქტის შექმნაზე.

რეკლამა აგრეთვე შეიძლება იყოს სტაბილიზაციის ხელ შეშეყოფი. ამ სახის რეკლამა უკვე მიღებული რეზულტატების შენარჩუნებისთვისაა განკუთვნილი. იგი როგორც წესი ხორციელდება გარკვეული პრეზენტაციების მოწოდების მეშვეობით, სადაც ბანკის პოტენციურ კლიენტებს აწვდიან ინფორმაციას აღნიშნული ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე (მაგალითად წლიური ანგარიშის

მეშვეობით). უნდა აღინიშნოს ფარული რეკლამის განთავსების საშუალებაც, მაგალითად ამ ბანკის საქმიანობის შესახებ პრესაში სტატიების გამოქვეყნების მეშვეობით.

სარეკლამო კამპანიის დაგეგმვისას მნიშვნელოვანი მომენტია შესაძლო ხარჯების სწორი წინასწარი გათვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება თუ არსებობს გარკვეული საბიუჯეტო შეზღუდვები. აგრეთვე მნიშვნელოვანია უკვე დაწყებული სარეკლამო კამპანიის მსვლელობისას პერიოდული დაკვირვება თუ რამდენად ეწყობა ხელი რეალურად სამიზნე პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრებას და მისი რეალიზაციის მოცულობის ზრდას.

მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებისას ხდება დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცემა. შემდეგ ხდება მისი დამუშავება, გაანა-

ლიზება, დახარისხება და სხვ. ანალიტიკური საქმიანობის პროცესში ბანკები ქმნიან გარკვეულ სისტემას მარკეტინგული ინფორმაციისა. ბანკის მიერ გასაღების ბაზრის გაფართოებისას იქმნება მარკეტინგული ინფორმაციის ბანკი.

როგორც ვხედავთ, საბანკო მარკეტინგი შეიძლება დაეხასიათოთ როგორც კლიენტების რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით არსებული და პოტენციური გასაღების ბაზრების კვლევა. ეს პროცესი გულისხმობს მიზნების ზუსტ ჩამოყალიბებას და მათ მისაღწევად კონკრეტული საქმიანობების ნუსხის შემუშავებას. დღესდღეობით უკვე ყველასათვის ნათელია, რომ თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელია კომერციული ბანკების შემოსავლებისა და მათი მოგების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ ეცნიერებათა
კანდიდატი კახაბერ ჯაყელი
გიგა გველესიანი

კომერციული ბანკების დაჯგუფება განაღდებალი საფულაო კაპიტალის მიხედვით*

თარიღი	მ. ბანკების რაოდენობა	მ. ბანკების რაოდენობა	მ. ბანკების რაოდენობა	სულ
1.01.01	0	6	24	30
1.02.01	0	2	28	30
1.03.01	0	2	27	29
1.04.01	1	0	28	29
1.05.01	0	0	28	28
1.06.01	0	0	27	27
1.07.01	0	0	27	27
1.08.01	0	0	27	27
1.09.01	0	0	27	27
1.10.01	0	0	27	27

კომერციული ბანკების კრედიტული აქტივებისა და პასივების დინამიკა 2000-2001 წლებში

(ათასი ლარი)

აქტივები და პასივები	1.01.00	1.12.00	1.01.01	1.10.01
ნაღდი ფულადი სახსრები	36750	35249	36363	48748
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	126593	163324	153498	177637
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	8720	586	987	3919
სანესტრაციო ფასიანი ქაღალდები	1700	4932	5415	11945
წმინდა სესხები	295019	405756	401899	464437
სესხები სახელმწიფო ინსტიტუტებს	-	-	-	8086
სესხები კერძო სექტორს	302904	427247	424157	494294
ბანკოაშორისი სესხები	6063	7143	6158	4021
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები	13948	28634	28416	41964
დარიცხული მისაღები პროცენტები	-	-	-	23452
ინვესტიციები საქონელზე კაპიტალში	24287	19011	18223	14810
პირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	61421	78100	77125	75848
სხვა წმინდა აქტივები	39482	66404	71648	31598
მოლიანი აქტივები	593973	773364	765159	852393
ვალდებულებები	391281	542981	530868	593935
ბანკების დეპოზიტები	10512	7962	7560	7954
არასაბანკო დეპოზიტები	206027	317739	304679	411370
არასაბანკო დეპოზიტები მოთხოვნამდე	109463	171511	161072	235122
თურიდული პირების ვადიანი დეპოზიტები	26240	33430	31198	43557
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	66360	107856	108405	111489
სამთავრობო სექტორის დეპოზიტები	3964	4942	4004	21201
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	-	-	-	7125
ნასესხები სახსრები	135149	138086	146244	149597
სხვა ვალდებულებები	39593	79195	72385	17890
სულ საკუთარი კაპიტალი	202692	230382	234291	258458
საწესდებო კაპიტალი	150831	180300	190204	207575
კაპიტალური რეზერვები	38942	51566	53403	44787
შიმდინარე მოგება	12919	-1485	-9316	6096
მოლიანი პასივები	593973	773364	765159	852393

* იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში“, თბ., 2000

კომერციული ბანკების კრედიტული აქტივებისა და პასივების დინამიკა 2000-2001 წლებში

(პროცენტებში)

კატეგორია და მისივე	1.01.00	1.12.00	1.01.01	1.10.01
ნაღდი ფულადი სახსრები	6,2	4,6	4,8	5,7
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	21,3	21,1	20,1	20,8
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	1,5	0,1	0,1	0,5
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0,3	0,6	0,7	1,4
წმინდა სესხები	49,7	52,5	52,5	54,5
სესხები სახელმწიფო ინსტიტუტებს	-	-	-	0,9
სესხები კერძო სექტორს	51,0	55,2	55,4	58,0
ბანკთა შორის სესხები	1,0	0,9	0,8	0,5
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები	2,3	3,7	3,7	4,9
დარიცხული მისაღები პროცენტები	-	-	-	2,8
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	4,1	2,5	2,4	1,7
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	10,3	10,1	10,1	8,9
სხვა წმინდა აქტივები	6,6	8,6	9,4	3,7
შთლიანი აქტივები	100,0	100,0	100,0	100,0
ვალდებულებები	65,9	70,2	69,4	69,7
ბანკების დეპოზიტები	1,8	1,0	1,0	0,9
არასაბანკო დეპოზიტები	34,7	41,1	39,8	48,3
არასაბანკო დეპოზიტები შთახოვნადე	18,4	22,2	21,1	27,6
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	4,4	4,3	4,1	5,1
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	11,2	13,9	14,2	13,1
სამთავრობო სექტორის დეპოზიტები	0,7	0,6	0,5	2,5
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	-	-	-	0,8
ნასესხები სახსრები	22,8	17,9	19,1	17,6
სხვა ვალდებულებები	6,7	10,2	9,5	2,1
სულ საკუთარი კაპიტალი	34,1	29,8	30,6	30,3
საწესდებო კაპიტალი	25,4	23,3	24,9	24,4
კაპიტალური რეზერვები	6,6	6,7	7,0	5,3
მიმდინარე მოგება	2,2	-0,2	-1,2	0,7
შთლიანი პასივები	100,0	100,0	100,0	100,0

კომერციული ბანკების მიერ პროცენტულ ექსპონირებაზე გაცემული სესხების დაკავალიანებას უზღვევლად უკლებლივ 2001 წელს

დაკავალიანება	1.01.01	1.10.01
დაკავალიანება უზღვევლად უკლებლივ	79934	109546
ვადიანი სესხები	73873	101527
მოკლევადიანი სესხები	60276	80245
გრძელვადიანი სესხები	13597	21282
ვალდებულებები სესხები	5015	6721
მოკლევადიანი სესხები	4998	6718
გრძელვადიანი სესხები	17	3
ვალდებულებები გარანტიები	550	125
დარიცხული და გადაუხდელი პროცენტები მოკლევადიან სესხებზე	490	1172
დარიცხული და გადაუხდელი პროცენტები გრძელვადიან სესხებზე	6	0
დაკავალიანება უცხოურ ვალუტაში	34819	389847
ვადიანი სესხები	319459	369755
მოკლევადიანი სესხები	219376	245428
გრძელვადიანი სესხები	100083	124327
ვალდებულებები სესხები	25258	24251
მოკლევადიანი სესხები	16876	19514
გრძელვადიანი სესხები	8382	4737
დარიცხული და გადაუხდელი პროცენტები მოკლევადიან სესხებზე	2224	4695
დარიცხული და გადაუხდელი პროცენტები გრძელვადიან სესხებზე	1177	1146

კომერციული ბანკების გაცხადებულ და განაღდებულ საფასვლო კაპიტალში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები

(2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ლარებში)

კომერციული ბანკის დასახელება	გაცხადებული კაპიტალი	მ.შ. უცხოური ინვესტიცია	განაღდებული კაპიტალი	მ.შ. უცხოური ინვესტიცია
შპს კბ „მერკური“	5200000	2957000	5000000	2641000
სს კბ „ალიბერტი“	5000000	950000	5000000	950000
სს კბ „თეთრი“	8000000	2000000	5000000	1250000
სს „თიბისი ბანკი“	5000000	2299000	5000000	2299000
სს კბ „საქართველოს ბანკი“	10000000	4084000	9856000	4084000
სს კბ „ქართული ბანკი“	5000000	1000000	5025000	1025000
სს „აგრომეკვანკი“	5093000	1742000	5093000	1742000
შპს კბ „გამა-ბანკი“	10088000	5145000	5191000	2699000
სს „კა“ ბანკი	5000000	3776000	5000000	3776000
შპს „თბილუნისერსალბანკი“	5020064	196010	5020064	196010
სს კბ „რიონი“	5002000	900000	5002000	900000
სს კბ „თბილკრედიტბანკი“	9475750	7408750	8964119	7335119
სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“	21000000	7541000	21000000	7541000
შპს კბ „ქართული კაპიტალი“	5000000	5000000	5000000	5000000
სს სიბერძნეთის კბ „საქართველო“	5867000	4743000	5867000	4743000
სს „საქართველოს შიკროსაფინანსო ბანკი“	10000000	6100000	10000000	6100000
სს კბ „აბრეშუმის გზა“	5001000	319000	5001000	319000
სულ	124746814	52762360	116019183	52600129

საქართველოს კომერციული ბანკების ზოგიერთი მაჩვენებლის დინამიკა 1995-2001 წლებში*

მაჩვენებელი	ერთეული	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
		პერიოდის ბოლოსთვის						
მოქმედი კომერციული ბანკები	ცალი	101	61	53	43	36	30	27
საგაღდებელი რეზერვების ნორმა	%	20	15	12	16	16	14	14
მშპ ერთ ბანკზე	მლნ. ლარი		63,1	87,5	117,2	157,4	199,0	240,9
ფართო ფული (3) ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	1,8	4,2	7,0	8,6	12,3	20,6	27,1
სარეზერვო ფული (1) ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	1,5	3,4	5,2	6,0	8,6	13,0	15,9
ნაღდი ფული მიმოქცევაში (0) ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	1,3	3,0	4,8	5,2	7,2	11,0	13,5
წმინდა საბანკო აქტივები ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	2,2	3,9	6,2	10,9	16,5	25,5	32,6
განაღდებული საწვსდებო კაპიტალი ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	0,3	1,0	1,8	2,7	4,2	6,3	7,5
საკუთარი კაპიტალი ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	0,3	1,0	1,9	3,4	5,6	7,8	10,0
საკრედიტო დაბანდება ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	1,3	2,0	3,2	5,1	8,2	14,1	17,9
მ.შ. ვადაგადაცილებული სესხები	მლნ. ლარი	0,5	0,1	0,2	0,3	0,5	1,0	1,5
არასაბანკო დეპოზიტები ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	0,7	1,7	2,6	3,9	5,7	10,2	15,6
ვიდებიანი დეპოზიტები ერთ ბანკზე	მლნ. ლარი	0,1	0,1	0,3	1,5	2,6	4,7	5,7
მიმდინარე მოგება ერთ ბანკზე	მლნ. აშშ დოლარი	-0,1	-0,1	-0,1	0,1	0,4	-0,3	0,5
საგარეო ვალი ერთ ბანკზე	მლნ. აშშ დოლარი	11,4	22,1	28,0	37,8	45,4	51,9	59,0
საკრედიტო დაბანდების სტრუქტურა:								
მოკლევადიანი	%	50,6	98,6	97,8	82,5	80,8	71,2	70,1
გრძელვადიანი	%	49,4	1,4	2,2	17,5	19,2	28,8	29,9
ეროვნულ ვალუტაში	%	51,7	62,0	52,5	32,4	23,2	18,7	18,4
უცხოურ ვალუტაში	%	48,3	38,0	47,5	67,6	76,8	81,3	81,6
დეპოზიტების სტრუქტურა:								
ვალიანი	%	6,4	18,3	36,1	40,1	35,8	34,2	40,0
მოთხოვნამდე	%	93,6	81,7	63,9	59,9	64,2	65,8	60,0
ეროვნულ ვალუტაში	%	58,9	51,8	41,6	31,3	21,1	22,1	14,3
უცხოურ ვალუტაში	%	41,1	48,2	58,4	68,7	78,9	77,9	85,7
საქმიანობის ეფექტიანობა:								
წმინდა მოგება/საშუალო სააქციო კაპიტალიდან პერიოდში	%	-	22,0	21,0	18,7	13,4	1,5	5,1
წმინდა მოგება/საშუალო სავაჭრო კაპიტალიდან პერიოდში (გაუნაწილებელი მოგების გარეშე)	%	-	22,0	21,9	20,3	18,1	1,9	5,2
საბალანსო მოგება/საშუალო სააქციო კაპიტალიდან პერიოდში (გაუნაწილებელი მოგების გარეშე)	%	-	-	-	22,1	21,2	4,2	6,7
წმინდა მოგება/საშუალო აქტივებთან (აქტივების ეფექტიანი გამოყენების კოეფიციენტი)	%	-	5,6	6,4	5,5	4,3	0,5	1,6
პერიოდის შემოსავლები/საშუალო აქტივებთან	%	-	-	-	22,9	20,8	18,2	23,9

* იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში“, თბ., 2000

კომერციული ბანკების მოგება-ზარალის სტრუქტურა*

(2002 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ლარებში)

შემოსავლები და ხარჯები	ლარი	უცხო ვალუტა	სულ
საპროცენტო შემოსავლები			
საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან „ნორბრო“ ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით	696660	355503	1052163
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	4320115	13873261	18193376
ბანკთა შორის სესხებიდან	331902	96398	428300
ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან	399272	3503392	3902664
ენერჯეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან	175485	863753	1039238
სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	5094	316668	321762
მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	549449	272830	822279
სამთრთომილებედ და ვადაამაშაგებულ სექტორზე გაცემული სესხებიდან	451145	2030612	2481757
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან	11291	466599	477890
ყიბიურ პირებზე გაცემული სესხებიდან	1654812	5785169	7439981
დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან	741665	-	-
საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან	725364	59987	785351
სხვა საპროცენტო შემოსავლები	170161	26204	196365
მილიანი საპროცენტო შემოსავალი	5912300	14314955	20227255
საპროცენტო ხარჯები			
მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	97895	337521	435416
ვადიანი დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	189373	2595736	2785109
ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები	18885	50583	69468
საკუთარ საეკონომიკურ ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები	-	1434	1434
ნაესხებ ხასხრებზე გადახდილი პროცენტები	389117	1639919	394911
სხვა საპროცენტო ხარჯები	564095	5794	569889
მილიანი საპროცენტო ხარჯები	1259365	4630987	5890352
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4652935	9683968	14336903
არასაპროცენტო შემოსავალი			
წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით	1732203	1953414	3685617
საკომისიო და სხვა შემოსავლები გავწეული მომსახურების მიხედვით	2522402	2976694	5499096
საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით	790199	1023280	1813479
მიღებული დივიდენდები	-	-	-
მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან	-	-	-
მოგება (ზარალი) სინდიკატური ფასიანი ქაღალდებიდან	(64035)	-	(64035)
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	2454320	75	2454395
მოგება (ზარალი) საგადასახადო ხასხრების გადაფასებიდან	2206754	-	2206754
მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან	298750	-	298750
სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები	253821	388942	642763
სხვა არასაპროცენტო შემოსავლები	1267523	196081	1463604
მილიანი არასაპროცენტო შემოსავლები	8149336	2538512	10687848
არასაპროცენტო ხარჯები			
სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გავწეული არასაპროცენტო ხარჯები	143647	110332	253979
ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები	534667	89364	624031
ბანკის პერსონალის ხარჯები	5540870	-	5540870
მართვადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	1011525	-	1011525
ცვლადი და ამორტიზაციის ხარჯები	960723	-	960723
სხვა არასაპროცენტო ხარჯები	2689876	19020	2708896


* იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის ბიულეტენი“, №84, თბ., 2002

ცხრილი №7 (გაგრძელება)

მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები	10881308	218716	11100024
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი	(2731972)	2319796	(412176)
წმინდა მოგება დარეზერვებამდე	1920963	12003765	13924728
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	4366942	-	4366942
ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	16045	-	16045
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	40699	-	40699
მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	4423686	-	4423686
მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე	(2502723)	12003765	9501042
მოგების გადასახადი	555970	-	555970
მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ	(3058693)	12003765	8945072
გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები)	(1093563)	-	(1093563)
წმინდა მოგება	(4152256)	12003765	7851509


დიაგრამა №1

დეპოზიტების სტრუქტურა 2001 წლის იანვარისათვის




დიაგრამა №2

დეპოზიტების სტრუქტურა 2001 წლის დეკემბრისათვის




დიაგრამა №3

სადაეოპოიტო პალდეპულაეპებს სტრუქტურა 2001 წლის იანვარისათვის




საღაოწიტი ვალდებულებების სტრუქტურა
2001 წლის დეკემბრისათვის

დიაგრამა №4



დანართი №5

მიმდინარე და საშუალო ბიზნისის განვითარებისათვის საკრედიტო სახეობით კომპარატიული ბანკების მიერ გაცემული სესხები ლარებში (2001 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)



საქონლის ექსპორტი-იმპორტი
მდგომარეობა

უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე ძირითად გარდაქმნათა ფონზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას და შემდგომ გაფართოებას, რაც სამომავლოდ საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების საფუძველი უნდა გახდეს.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგებზე, საქონლის, მომსახურების და სამუშაო ძალის ექსპორტი-იმპორტის, ინვესტიციების და ფულად-საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას, სრულ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი (იხ. დანართი, ცხრილი №1).

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა საგადასახდელო ბალანსის შედგენის უნიფიცირებული სქემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლების სრული და დეტალური ასახვა. მისი შედგენისას წესისამებრ გამოიყენება საერთაშორისო გარიგებების ორმაგი ჩანწერის წესი. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში კრედიტის სახით რეგისტრირდება შემდეგი ოპერაციები: ა) რეალური რესურსები - ექსპორტი; ბ) ფინანსური ოპერაციები - ოპერაციები, რომელთაც მიეკავართ მოცემული თუ სხვა ქვეყნის რეზიდენტების კუთვნილი უცხოური აქტივების შემცირებისაკენ, ან ამ ქვეყნის საგარეო მოვალეობების გაზრდისაკენ. ხოლო დებეტის სახით რეგისტრირდება შემდეგი ოპერაციები: ა) რეალური რესურსები - იმპორტი; ბ) ფინანსური რესურსები ასახული იმ ოპერაციებში, რომელთაც მიეკავართ მოცემული ქვეყნის რეზიდენტების კუთვნილი უცხოური აქტივების გაზრდისაკენ, ან ამ ქვეყნის საგარეო მოვალეობების შემცირებისაკენ. ე.ი. დადებითი მაჩვენებელი (კრედიტი) გამოხატავს მათი აქტივების შემცირებას, მაშინ როდესაც უარყოფითი მაჩვენებელი (დებეტი) - ზრდას.

საგადასახდელო ბალანსი (იხ. დანართი, სქემა №1) შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

1. მიმდინარე ანგარიშში;
 2. კაპიტალი და ფინანსური ანგარიშში.
- მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტმა 2000 წელს 261,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 8%-ია. დეფიციტი ხშირად უარყოფით მოვლენად აღიქმება და მის მოგვარებას სამთავრობო სტრუქტურებისაგან განსაკუთრებული ძალისხმევა ესაჭიროება. მთავრობას შეიძლება გააჩნდეს რამოდენიმე პოლიტიკური კურსი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს დეფიციტის შემოკლებაში, ამასთან, პოლიტიკის შერჩევა უზირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მოსალოდნელი დეფიციტის მასშტაბზე, კერძოდ დეფიციტი დროებითი ხასიათისაა თუ უფრო გრძელვადიანი ჩანს, ამიტომ ზოგიერთი დამატებითი პოლიტიკური კურსის განხორციელება საჭიროა, რომლებიც გამოიყენება იქნება უწინასწორების სტრუქტურული ხასიათისადმი.

საქონლის ექსპორტი-იმპორტი მიმდინარე ანგარიშის დასაერთოდ საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ექსპორტი-იმპორტის ოპერაციებთან ერთად მოიცავს პირდაპირ ანგარიშგებას იმ ობიექტებთან, რომელთა პროდუქციაც გარკვეული მიზეზების გამო არ გადის საბაჟო კონტროლზე და არ აღირიცხება. ესენია: ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, საპავეო და საზღვაო ხომალდების შექმნა და მათ ბორტზე მიონდებული მოხმარებისთვის - საჭირო სურსათი და სანკვაი, ასევე უცხოური კრედიტების შექმნილი ან ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული საქონელი (იხ. დანართი, სქემა №2).

2000 წელს საქონლის ბალანსმა 506,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში მეტად მერყეულია და არასტაბილურობით გამოირჩევა. მსოფლიო მასშტაბით კი განსხვავებული სურათი გვაქვს: საერთაშორისო ვაჭრობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გაუმოხატება იმაში, რომ საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზდება წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი საქონელი და მომსახურება. ამის განმაპირობებელი ერთ-ერთი მიზეზია ენ. „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ და განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის მაღალი ტემპები (10% და მეტი ნოველწლიურად) და ასევე ის გარემოება, რომ ვაჭრობა უფრო სტაბილურ ხასიათს იღებს, რასაც მსოფლიო მოსახლეობის ზრდა და მათი ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილებები განაპირობებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია წინასწებთან შედარებით 2001 წელს მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის შედარებით ნაკლებად ზრდას პროგნოზირებს, დაახლოებით 7%-ით, მაშინ როცა ეს

მაჩვენებელი 2000 წელს 12%-ს შეადგენდა. ეს იყო ბოლო 10 წლის განმავლობაში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

გაეროს ეგიდით გამოცემულ საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით საქართველოს ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტში 1995 წელს დაახლოებით 0,0033%-ს, ხოლო იმპორტის წილი მსოფლიო იმპორტში - 0,005%-ს შეადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა არ აღმოჩნდა მზად იმისათვის, რომ საკუთარი პროდუქციით დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნილებები და არ ეწარმოებინა ყოველწლიურად მზარდი იმპორტი. ყოველივე ამის გამო რეგისტრირებული იმპორტი რამდენიმე წინ უსწრებდა რეგისტრირებულ ექსპორტს (იხ. დანართი, ცხრილი №2) და საქართველოს საგარეო ბალანსის უარყოფითი საღლო ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. დანართი, დიაგრამა №1), თუმცა 1999 წელს წინა წელთან შედარებით მან შესაძენდა იკლო, რაც ძირითადად გამოწვეული იყო წინა წელთან შედარებით ექსპორტის 23,8%-ით გაზრდით და იმპორტის 32%-ით შემცირებით, თუმცა 2000 წელს უარყოფითი საღლო კვლავ გაიზარდა 32,5 მლნ. აშშ დოლარით. სწორედ ქრონიკულად უარყოფითი საგარეო ბალანსის საღლო წარმოადგენს საგადახდებლო ბალანსის დეფიციტის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს.

საქართველოს საღლოზე განვითარების პოტენციალთან გამომდინარე უარყოფითი საღლოს ზრდის ტენდენცია ალბათ რამდენიმე ფაქტორს აქვს ახლო მომავალშიც. ყოველივე ამას რამდენიმე ძირითადი მიზეზი უდევს საფუძვლად:

1. შიდა მოთხოვნილებების სწრაფ ზრდა, რომელიც პირდაპირპროპორციულ კავშირშია იმპორტზე მოთხოვნასთან;
2. ადგილობრივი წარმოების შედარებით ნელი ზრდის მაჩვენებლები;
3. მსოფლიო ბაზარზე გასაბანო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა;
4. ლარის დევალაცია, ექსპორტს ხელს უწყობს მცირე დამკვირვებელი ინფლაცია, რომელმაც მართალია წაახალისა ექსპორტი, მაგრამ უარყოფით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: უკანასკნელ წლებში კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობა ავტომატურად ამცირებს იმპორტის მოცულობას. რომ არა კონტრაბანდა, იმპორტის ზრდის კვალობაზე უარყოფითი საღლოც გაცილებით მეტი იქნებოდა.

ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს ექსპორტ-იმპორტის სწორი აღრიცხვიანობის საკითხი და ინფორმაციის წყაროები, სადაც ხდება მათი მიღება. საქართველოში დღეისათვის

მოქმედი სააღრიცხვო სისტემის მიხედვით ექსპორტი-იმპორტის გაანგარიშება ხდება საბაჟო სამსახურის მიერ დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე (საბაჟო დეკლარაციების მონაცემები), ქვეყნებს შორის ელექტრონული და ბუნებრივი აირის მიწოდების საფუძველზე შედგენილი აირის მიწოდების საფუძველზე ვაჭრობიდან შემოსული ექსპორტული მონაცემების შეჯამებით. მასში შედის ასევე ჰუმანიტარული დახმარებები და უცხოური კრედიტით შექმნილი საქონელი, სპაერო და საზღვაო ხომალდების შექმნა და მათი მომარაგება.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და განსაკუთრებით კი ვაჭრობაში დიდია ფარული გარიგებებისა და ალერსივი ტვირთების მოცულობა, რაც სწორი ანალიზების გაცემის საშუალებას არ იძლევა და ართულებს საგადახდებლო ბალანსისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ურთიერთგაგების შეუწყობას.

სწორი აღრიცხვიანობის ყველაზე დიდ ხელს შეშლელ ფაქტორად სწორედ კონტრაბანდა მოიაზრება. აფხაზეთის ენტერპრაიზის საზღვრები, ერგნეთის ბაზრობა, წითელი ხიდი და სხვა ტვირთოვანი გზები ყოველდღიურად დიდძალ კონტრაბანდულ ტვირთებს ატარებენ, რაც ასევე ბიუჯეტის დიდალი შემოსავლების დაკარგვის წყარო ხდება.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საგარეო ვაჭრობაზე მონაცემებს აქვეყნებს ე.წ. „FOB“ ფასებში, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო საგადახდებლო მიერ. ამისგან განსხვავებით, საბაჟო დეპარტამენტი მონაცემებს იძლევა „CIF“ ფასებში და მათ შორის სხვაობას საერთაშორისო ფრახტი წარმოადგენს, რომელიც ცალკე აღირიცხება საგადახდელო ბალანსში სატრანსპორტო მომსახურების სახით. ამასთანავე, ექსპორტი მოცემულია წესისამებრ „FOB“ ფორმით, ხოლო იმპორტი „CIF“ ფორმით:

CIF = FOB + საერთაშორისო ფრახტი
სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაანგარიშებული საგარეო ბალანსის სიზუსტის დასადგენად გამოიყენება ე.წ. „სარკოსეური სტატისტიკის“ მეთოდი, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ექსპორტი უდარდება საგარეო პარტნიორის იმპორტს, ხოლო იმპორტი - პარტნიორის ექსპორტს. აქ საშუაგარეოზე გამოდის აღრიცხვიანობის უზუსტობა, როგორც ჩვენი, ქვეყნის, ასევე პარტნიორი სახელმწიფოების მხრიდან (დსთ-ს ქვეყნებთან შეიწმენდა აღრიცხვიანობის ბეგრად არასრულყოფილი სისტემა). მაგალითად, საქართველოსა და თურქეთის საგარეო ვაჭრობის მონაცემების სარკისებურად შედარებამ დაგვანახა, რომ საქართველოდან თურქეთში ექსპორტის მონაცემები შემცირებულია საშუალოდ 2,7ჯერ, ხოლო თურქეთიდან იმპორტის მონაცემები - 1,2-ჯერ. ამის შედეგად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

მენტის მონაცემებით 2000 წელს თურქეთთან საგარეო ვაჭრობის დეფიციტის 35 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველოს თურქეთთან აქვს 25,9 მლნ. აშშ დოლარიანი დადებითი საგარეო ბალანსი (ნ. ასლამაზიშვილი, ყურნალი „ბანკი“, 2/2000).

ანალოგიურ ფაქტებს ემატება ისიც, რომ ზოგიერთი ქვეყნით გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებენ ექსპორტის უზუსტ რეგისტრაციას და ხელოვნურად ამცირებენ მას. მათთან მოუნქიერებელი რეექსპორტისა და ტრანზიტის აღრიცხვაც. გარდა ამისა, ყველა ქვეყანას დანებებული აქვს გარკვეული ზღვარი, რომლის ქვემოთაც განხორციელებული საგარეო-საგარეო მართა არ ქვეყნდება სტატისტიკურ აღრიცხვას. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მონაცემები განსხვავებას იწვევს სხვადასხვა მიზნადმოლოცებით დაფუძნებული გაანგარიშებები და განსხვავებული კლასიფიკაციების გამოყენება.

უკანასკნელ წლებში საქართველოს საგარეო პარტნიორ ქვეყანათა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუ შევხედვით მას არ მივალთ 2000 წელს, როცა ის წინა წელთან შედარებით 111-დან 105-მდე შემცირდა (იხ. დანართი, ცხრილი №№3-4). ამის პარალელურად იზრდება უარყოფითი საგარეო ბალანსის მქონე პარტნიორთა რიცხვი, ხოლო დადებითის მქონე შედარებით მოკრძალებულად იზრდება, ისიც მეტად არასტაბილურ ხასიათს იღებს.

2000 წელს 105 საგარეო პარტნიორი ქვეყნიდან 78 ქვეყანასთან საქართველოს უარყოფითი საგარეო ბალანსი მქონდა, ხოლო 27-თან - დადებითი. გასულ წლებში (1997-1999წწ.) მდგომარეობა საპირისპირო იყო: უარყოფითი საგარეო ბალანსის მქონე ქვეყნების რიცხვი გაცილებით ჭარბობდა დადებითი ბალანსის მქონე სახელმწიფოებს. ეს მოვლენა ცალსახა შეფასებით საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დადებით ტენდენციას მიუთითებს, თუმცა რამდენად გაგრძელდება ეს ტენდენცია ახლო მომავალში, საკმაოდ მწელად პროგნოზირებადი.

2000 წელს საქართველოს საგარეო-საგარეო დეფიციტის 28% დამოუკიდებლ სახელმწიფოთა თანავებობის ქვეყნებზე მოდიოდა, ხოლო წინა წელს ეს მაჩვენებელი 32,4%-ს შეადგენდა.

2000 წელს 105 საგარეო პარტნიორი ქვეყნიდან საქართველოს ერთ მლნ. აშშ დოლარზე მეტი ოდენობით უარყოფითი საგარეო ბალანსი მქონდა 42 ქვეყანასთან, ხოლო დადებითი - მხოლოდ 4-თან. ეს ქვეყნებია: სომხეთი, ლიტვა, სირია და კონგო; 1999 წელს 111 საგარეო პარტნიორიდან უარყოფითი მქონდა 40 ქვეყანასთან, ხოლო დადებითი - ისევ 4-თან. ესენია: სომხეთი, ტაჯიკეთი, სირია და კონგო.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის პარტნიორ

თავან 20-მდე ქვეყანა არის მხოლოდ სიმბოლური პარტნიორი, ვინაიდან მათთან ბოლო ექვსი წლის მანძილზე მხოლოდ თითო-თითო წელს მქონდათ საგარეო ვაჭრობის მიზნად მცირედი მოცულობით. ასეთი ქვეყნების მიმართ საქართველოს საგარეო-საგარეო ბრუნვამ საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 200 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც საშუალოდ საქართველოს მილიანი საგარეო ბრუნვების დაახლოებით 0,02%-ს შეადგენს.

საქართველოს ხუთ უმსხვილეს საგარეო პარტნიორთან რიცხვში კვლავ რუსეთი ლიდერობს (2000 წელს მილიანი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 17,5%). შემდეგ მოდის თურქეთი (17,3%), გერმანია (8,2%), აზერბაიჯანი (7,4%) და აშშ (7,3%). ამ ქვეყნებთან საქართველო უკანასკნელი წლები ქრონიკულად უარყოფითი საგარეო ბალანსით დაასრულა. რუსეთთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან ასეთ ტენდენციას საქართველოს ბიკონომიკური სიახლოვე და ჩვენი ქვეყნის წარმოების განუვითარებლობა განაპირობებს, რასაც ემატება რუსეთის და აზერბაიჯანის მთავრობებთან მიღებული საქართველოს მთავრობის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ზედახეხ, რომლითაც იზღუდება ვაჭრობაში შედამეტი ხელის შემშლელი ბარიერები; აშშ-სთან ჰუმანიტარული, გრანტის და ინვესტიციის სახით იმპორტირებული საქონლის დიდი მოცულობა, ხოლო გერმანიასთან - ძირითადად საქართველოს მაღალი მოთხოვნა მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე.

ესევე, საკმაოდ საინტერესოა საქართველოს რამდენიმე პარამეტრის შედარება ევროპის ქვეყნებთან, რომელთაგან გარკვეული ნაწილი ზოგიერთი მაჩვენებელი (მაგალითად, ტვირთის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, ისტორიული წარსულით და სხვა) საკმაოდ ახლოს დგას საქართველოსთან. ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება სლოვენია, სლოვაკეთი, ხორვატია, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ევროპის ერთ-ერთი ცნობილი გამოცემული „ეკონომისტის“ მიერ გამოცემული სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, რომელიც ითარგმნა გამოცემა ქართულად შპს „Mosso InTernel“-ის მიერ 1998 წელს მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი მთლიანი შიდა პროდუქტის -7,86%-ს შეადგენდა (იხ. დანართი, ცხრილი №5). ამ მაჩვენებლით საქართველო ახლოს დგას ხორვატიასთან, რომლის მიმდინარე ანგარიშთა ბალანსმა მშპ-ის 7,46% შეადგინა.

რაც შეეხება უშუალოდ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსს, ევროპის 41 ქვეყნიდან 31-ს ეს მაჩვენებელი უარყოფითი მქონდა, ასე რომ ეს პრობლემა მარტო საქართველოს წინაშე როდი დგას, ის ევროპის ისეთი მონიწივე ქვეყნებისთვისა და მათსათვის უდრის, როგორებიცაა გერმანია, გაერთიანებული სამეფო, პორტუგალია, ავსტრია და სხვა, თუმცა ისინი ამაში პრობლემას

ვერ ხედავენ. 1998 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშში ბალანსმა 416 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლით იგი წინ უსწრებდა ევროპის 23 ქვეყნის (მშ. გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს, ავსტრიის, პორტუგალიის, რუმინეთის, ნორვეგიის და სხვა) მაჩვენებელს.

ექსპორტ-იმპორტის მოცულობის მიხედვით 1998 წელს ევროპის 42 ქვეყნიდან საქართველოს მე-40 ადგილი ეკავა (1,36 მლრდ. აშშ დოლარი) და ამ მაჩვენებელში მშპ-ის 12,83% შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №6). ამ პარამეტრით საქართველო ევროპაში 41-ე ადგილზეა და ევროზონის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან საკმაოდ ახლოს დგას (12,21%).

საგარეო ვაჭრობის შეფასების საინტერესო მაჩვენებელს წარმოადგენს საგარეო საქონელბრუნვა. 1998 წელს მან 760 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ამ მაჩვენებლით საქართველო ევროპის 42 ქვეყნიდან მე-20 ადგილზეა. საქონელბრუნვამ მშპ-ს მიმართ 14,35% შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №7).

ყოველივე ამის შემდეგ უპრიანია ვნახოთ საქართველოს ექსპორტი-იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით და ის ტენდენციები, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა. როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მინერალურ პროდუქტებს, მზა საკვებს, ქიმიურ და მცენარეულ ნაწარმს.

ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კვლავ არაპრიორიტეტულია ლითონები და მათი ნაწილები ქარბონენ 79,9 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით (იხ. დანართი, ცხრილი №8), რომელთა შორისაც წამყვანი პოზიციები შვედეთს ეკუთვნის (52,5 მლნ. აშშ დოლარი) და ალუმინსა და მის ნაერთებს (17,2 მლნ. აშშ დოლარი) უჭირავთ. ამასთან, მათი ექსპორტი უკანასკნელი წლების მანძილზე წინა წლებთან შედარებით მკვეთრად იზრდება. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება მცენარეული ნაწარმის ექსპორტი, რომელშიც წამყვანი პოზიცია ნაყოფსა და კაკალს, ციტრუსების ან ბალჩეული კულტურების კანქერეს უჭირავს. იზრდება ასევე სასუქების ექსპორტი, თუმცა ქიმიური ნაწარმი მერყევი ტენდენციებით ხასიათდება. ანალოგიური იქმნის მინერალურ პროდუქტებზე და მზა საკვებზე, თუმცა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში 2000 წელს შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებს იწიან.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში წამყვანი პოზიცია კვლავ მინერალურ პროდუქტებს (მინერალურ სანავსებს, ნავთობსა და ნავთობ-პროდუქტებს) უჭირავთ (იხ. დანართი, ცხრილი №9). მათი იმპორტის მაჩვენებელი (155,4 მლნ. აშშ დოლარი) საქართველოს მთლიანი იმპორტის 21,4%-ს შეადგენდა. მართალია, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ უკანასკნელი წლების მაჩვენებლებთან

გამომდინარე მკვეთრად შემცირებულია. მანქანებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე მათ სათანადო რიგო ნაწილებს მთლიანი იმპორტის 17,8% უჭირავს, მზა საკვებს - 10,3%, ქიმიურ ნაწარმს - 9,7%, ხოლო მცენარეულ ნაწარმს - 9%.

მსოფლიო ვაჭრობის მაჩვენებლებზე დასასაქონლო სტრუქტურაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად გაიზარდა მაღალტექნოლოგიურად დამზადებული პროდუქტების ვაჭრობა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ 2000 წელს ნახევარ-გამტარიან მონსპილობათა გაყიდვის მოცულობის 37%-ით, მობილური ტელეფონების - 46%-ით და პერსონალური კომპიუტერების 15%-ით გაზრდა.

აღნიშნული მაჩვენებლებზე და ტენდენციებზე (მეტად არასტაბილურზე) დაკვირვება ცხადყოფს, რომ აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის, რაც სამომავლოდ ექსპორტის ზრდის მთავარ გარანტიად უნდა მოგვევლინოს. ამ კუთხით ექსპერტთა გარკვეულ ნაწილს აუცილებლად მიანიჩნია პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გატარება. 2001 წლის აპრილ-მაისის თვეში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით ვიზიტის დროს ფონდის წარმომადგენლებმა საქართველოს მთავრობას ურჩიეს არ გაეტარებინა პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა, ვინაიდან მოცემულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკისათვის აუცილებელია ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის არსებობა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ დღეს დიდი რაოდენობით გაედინება საქართველოდან ჯარი და ხეტყე. მათი გატანის შემზღუდავი პოლიტიკის გატარება მკვეთრად გაზრდის საგადასმდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში დეფიციტს და მაკროეკონომიკური არასტაბილურობის საფუძველი გახდება, ასე რომ ამ კუთხით მრავალი ურთიერთსაინააღმდეგო მოსაზრება არსებობს.

მიმდინარე ანგარიშიდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს საგადასმდელო ბალანსში მომსახურების ვაჭრობას. ის სტრუქტურული თვალსაზრისით ყველაზე რთული ელემენტია ბალანსისა, თუმცა ჩვენი ქვეყნისათვის ზრდის მტვად არასტაბილური მაჩვენებლებით გამოირჩევა. მისი ძირითადი კომპონენტებია:

- სატრანსპორტო მომსახურება;
- კავშირგაბმულობა;
- დაზღვევა;
- კომპიუტერები და ინფორმაცია;
- ტურიზმი;
- მშენებლობა;
- ფინანსური მომსახურება;
- როიალტი და სალიცენზიო გადასახადები;
- კულტურული ღონისძიებები;

- სამთავრობო მომსახურება;
- სხვა სახის მომსახურება.

მომსახურების ნაწილის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს პირდაპირი ანგარიშგება საერთაშორისო მომსახურებაში მონაწილე რეზიდენტ ეკონომიკურ სუბიექტებთან.

1999-2000 წლებში საქართველოს მომსახურებით ვაჭრობაში უარყოფითი საღდო გააჩნია, თუმცა წინა წლებში (მაგ. 1996-97 წ.წ.) მტკნილად დადებითი საღდო ჰქონდა. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საქართველო დღითიდღე ავითარებს მომსახურების სფეროს და დღამს ქმედით ნაბიჯებს, რაც ძირითადად გამოისახება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის და ტურიზტული სფეროს განვითარებით. აღნიშნულ საკითხებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კავშირგაბმულობასა და სატრანსპორტო მომსახურებას.

თუკი მომსახურების ექსპორტს სტრუქტურულად განვიხილავთ, ყველაზე მეტი შემოსავალი ტურიზმსა (96,7 მლნ. აშშ დოლარი 2000 წელს) და სატრანსპორტო მომსახურებას (96 მლნ. აშშ დოლარი) მოაქვს. მათზე შედარებით უმნიშვნელოა კავშირგაბმულობიდან შემოსავლები, თუმცა მიღებული შემოსავლების მიხედვით მესამე ადგილზე დგას (7,1 მლნ. აშშ დოლარი). გასულ წლებში სურათი განსხვავებული იყო: პირველ ადგილზე იყო სატრანსპორტო მომსახურება, შემდეგ იყო კავშირგაბმულობა და ბოლოს ტურიზმი. ამჟამად კი ტურიზმმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა. რამდენიმე წლის წინ ექსპერტთა დიდი ნაწილი სწორედ ტურიზმს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევდა მომსახურებაში. აღნიშნულის დადასტურება იყო 1997 წელს წინა წელთან შედარებით ტურისტული მომსახურების ექსპორტის დაახლოებით 6,2-ჯერ და 1998 წელს - 4-ჯერ ზრდა, თუმცა შემდგომ წლებში მან მკვეთრად იწყო შექცობა.

საქმიანი ტურიზმის პირად ტურიზმთან შედრებით წინმსწრები ტემპებით განვითარების კვალობაზე ტურისტული მომსახურების საღდო კვლავ უარყოფითია და ეს ტენდენცია რამდენადმე გაგრძელდება ახლო მომავალშიც, თუმცა საქართველოს გააჩნია ყველა ის პირობა, რათა ტურიზმი შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდეს. ამისათვის საჭიროა მოქმედებული ტურისტული ბაზების აღდგენა და უცხოეთში ფართო რეკლამირება.

სატრანსპორტო მომსახურება ერთადერთი სახეობაა მომსახურებისა, რომელსაც უკანასკნელ წლებში დადებითი საღდო გააჩნდა, განსაკუთრებით კი საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების სფეროში, ვინაიდან ეს ორი სახეობა საფუძველი უნდა გახდეს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაში. ამის საფუძველი უნდა შექმნას

ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებსა და საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალების მგზავრბრუნვისა და ტვირთბრუნვის გაზრდად.

არანაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მომავალში საჰაერო ტრანსპორტსაც, თუმცა საღდოთად ამ სახის მომსახურების განვითარება მკვეთრად შეფერხებულია, რასაც ხელს უშლის მოქმედებული საჰაერო ხომალდები, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებში მტვად არაპიროვნულად და სიცოცხლისათვის საშიშრად არიან მიჩნეულნი. ამას შედეგად მოჰყვას, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყნების აეროპორტებში მკვეთრად აიკრძალა მოქმედებული საჰაერო ხომალდების დაშვება. აღნიშნული და სხვა გარემოებების გამო საღდო უკვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რიგობა სხორეკლებზე თანამედროვე „ჰორინგის“ ტიპის ხომალდები. ამ სფეროს სერიოზული ინვესტიციები და წინ წამოწევა სჭირდება.

მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ასევე კავშირგაბმულობის როლი მომსახურებიდან შემოსავლების მოზიდვის საქმეში და ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე საშუალებების ფართოდ დანერგვა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი ინფორმაციის დროული და უხარვეზო გაცვლაა. ამ მიმართებით უკანასკნელ წლებში საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა, რასაც მნიშობს მობილური, ელექტრონული და სატელეფონური კავშირის საღდო განვითარება. მომავალში საჭირო გახდება ამ დარგის კიდევ უფრო მხარდაჭერა განვითარება, ვინაიდან სწორედ იგი ქნის ბევრი სხვა დარგის განვითარების მყარ საფუძველს.

